პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 1 დეკემბერი, 1942 წ. № 284 (6600). ფასი 15 კაპ.



## კიროვი

რვა წლის წინათ ხალხის საზიზღარმა მტრებმა, ფაშიზმის მოსყიდულმა აგენტებმა, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ - ბუხარინელებმა სმოლნში ვერაგულად მოჰკლეს რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი, დიდი რუსი ხალხის დიდი შვილი სერგეი მირონის-ძე კიროვი.

კიროვი იყო ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგული შვილი. მთელი მისი სიცოცხლე წარმოადგენდა გმირულ ბრძოლას მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად; მისი ცხოვრების ნათელი ლამპარი გზას უნათებდა მილიონობით მშრომელებს მათს ბრძოლაში მჩაგვრელებისა და დამმონებლების წინააღმდეგ. სერგეი მირონის-ძე ბავშვობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით იგი [illegible] წლების მანძილზე სჭედდა ჩვენი ქვეყნის ძლიერებას. მშრომელ ხალხს კიროვს უსაზღვროდ უყვარდა და ხალხსაც უსაზღვროდ უყვარდა იგი. კიროვი ეკუთვნოდა სახელოვან ბოლშევიკურ კოჰორტას. იგი გრანიტივით მტკიცე ნებისყოფის ადამიანი იყო, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე.

ციხე, რეპრესია, დევნა და შევიწროება, რასაც კიროვი განიც[illegible] მშრომელი ხალხის მტრებისა[illegible] არ არყევდა, უფრო [illegible] მირონიჩის შეუპოვრობა [illegible] დამმონებლების წინააღმდეგ [illegible]ში. მთელი მისი ცხოვრება [illegible] გმირული ბრძოლით, მამაცობით და თავდადებით, შორსმჭვრეტელობის გასაოცარი მაგალითებით. კიროვი იყო მასების დიდი ორგანიზატორი, რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი. გამოჩენილი მხედართმთავარი, რომელმაც ბრწყინვალედ დაიცვა რევოლუციის საქმე, როგორც კავკასიის მთებში, ისე ვოლგის ნაპირებზე, ბაქოში, ყაზახეთის ველებში, ნევის ნაპირებზე—ლენინის ქალაქში.

სამოქალაქო ომის წლებში მთელი ძალით გაიფურჩქნა კიროვის დიდი სამხედრო ნიჭი. 1919 წელს ლენინისა და სტალინის დავალებით მან მოაწყო ასტრახანის გმირული დაცვა. კიროვს ეკუთვნის მრავლისმეტყველი სიტყვები ასტრახანის ამ გმირული დაცვის დღეებში: „სანამ ასტრახანის მხარეში თუნდაც ერთი კომუნისტია, მდინარე ვოლგის შესართავი საბჭოთა იყო, არის და იქნება კიდევაც!". მგზნებარე ბოლშევიკმა ეს სიტყვები საქმით განახორციელა.

გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში კიროვის ნათელი ცხოვრებისა და გმირული ბრძოლის ტრადიციები ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს. დიდია ღვაწლი, რომელიც კიროვს მიუძღვის ლეგენდარული ქალაქის — ლენინგრადის ძლიერების განმტკიცებაში. კიროვი წლების განმავლობაში ასალკლდევებდა ლენინის ქალაქს, სადაც იგი შეუპოვრად ანადგურებდა კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებს, რაზმავდა ლენინგრადის მშრომელებს სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულებისათვის. კიროვში განსახიერებული იყო ბოლშევიკის ყველა საუკეთესო, ყველა ძვირფასი თვისება. მე-11 არმიის სათავეში კიროვმა გამოიჩინა თავი როგორც დიდმა სტრატეგმა, რომელსაც შეუძლია უზრუნველჰყოს არმიის საბრძოლო წარმატებანი. მისი სიტყვები, მისი ბრძანებანი ალსავსე იყო მტრებისადმი შეუპოვარი წინააღმდეგობით და გამარჯვების ნათელი გზის სწორი გაგებით. 1919 წლის 11 მარტს კიროვი ამბობდა: „ყველა ბანდიტი, მარodიორი და ის პირნი, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ საბჭოთა ხელისუფლების ბრძანებებს, დახვრეტილ იქნან ადგილზე". კიროვის შეუპოვრობა და სიმტკიცე აღაფრთოვანებდა მის თანამებრძოლებს, რაზმავდა მათ ფოლადის კედლად აღმართულიყვნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სერგეი მირონის-ძე კიროვის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის ძმობის განმტკიცება. სამოქალაქო ომის წლებში კიროვი რაზმავდა კაზაკებსა და მთიელებს, ინგუშებსა და ოსებს, ყაბარდოელებსა და ბალყარელებს, დაღისტნის მშრომელებს. აწყობდა პარტიზანულ რაზმებს თეთრების წინააღმდეგ. უზრუნველჰყოფდა მათ მოსკოვიდან იარაღის ჩამოტანით. დიდია კიროვის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე, იმ ხალხის წინაშე, რომელსაც მისი ისტორიის ყველაზე შავბნელ დროს — პირსისხლიანი მენშევიკების ბატონობის დროს, კიროვმა გაუწია შეიარაღებული დახმარება საძულველი მენშევიკური მთავრობის დამხობაში. ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს მის წინაშე სერგეი მირონიჩის ამ დამსახურებას.

გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობის წლებში კიროვი გიგანტურ მუშაობას აწარმოებდა საბჭოთა კავშირის სამეურნეო, პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის. იგი მთელი თავისი მგზნებარებით განამტკიცებდა წითელ არმიას, წითელ ფლოტს. იგი რაზმავდა ინჟინერების, ტექნიკის ძალებს ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს ბუნებრივ წყაროთა ათვისებისა და ხალხის სამსახურში მათი ჩაყენებისათვის. კიროვი სიმბოლურად განასახიერებდა იმ კოლოსალურ შემოქმედებით პათოსსა და ორგანიზატორულ გაქანებას, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაუყარა ლენინ-სტალინის პარტიამ. პარტიისა და ხალხის უსაზღვროდ ერთგული შვილი ყოველ წუთს ჩვენი ქვეყნის განმტკიცებისა და მისი შემდგომი აყვავებისათვის იყენებდა. ტყუილად კი არ ამბობდა მირონიჩი: „ბოლშევიკების მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ მათ ახასიათებს შინაგანი შემოქმედებითი დაუდგრომლობა". კიროვი მთელ ძალებს მიმართავდა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების, შახტებისა და მაღაროების, საწარმოებისა და დაწესებულებების მაქსიმალური ნაყოფიერების უზრუნველყოფისაკენ. მირონიჩი ამბობდა: „რაც უფრო უკეთესად იმუშავებენ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, მით უფრო საიმედო და მტკიცე იქნება საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა, ყველა მშრომელთა სოციალისტური სამშობლოს სამხედრო ძლიერება".

კიროვის ნათელი სახე ცოცხლობს და იცოცხლებს ხალხის ხსოვნაში, ჩვენი ქვეყნის გმირულ საქმეებში. თაობიდან თაობას, საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემა კიროვის კეთილშობილი სახე და მისი გმირული საქმეები ჩვენი ქვეყნის სასახელოდ, ვერაგ მტერთა თავზარდასაცემად.

და იმ დროს, როცა ჩვენი გმირი წითელი არმია წარმატებით ანვითარებს შეტევას სტალინგრადის რაიონში, წარმატებით უტევს ჰიტლერელ ავაზაკებს ცენტრალურ ფრონტზე, საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ წითელი არმიის, ჩვენი ფლოტის ამ ძლიერებისა და სიმტკიცის გამოჭედვაში დიდია მირონიჩის ღვაწლი. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ ისეთი პარტია, რომელმაც კიროვი აღზარდა, ისეთი ქვეყანა, რომლის შვილიც კიროვია—უძლეველნი არიან! კიროვის ნათელი, დიადი სახე მოგვიწოდებს ულმობელი ბრძოლისაკენ გერმანელი ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ. იგი ჩაგვაგონებს საგმირო საქმეებს სოციალისტური სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში და გვიძლიერებს ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების მტკიცე რწმენას.

სერგეი მირონის-ძე კიროვის ნათელი ხსოვნა საუკუნეების მანძილზე ჩაუქრობელ ლამპრად იცოცხლებს საბჭოთა ადამიანების გულში!

### უკანასკნელ საათს

## ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება

### I. სტალინგრადთან

29 ნოემბრის განმავლობაში სტალინგრადთან, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მისი თავდაცვის ახალი ხაზი დონის აღმოსავლეთ ნაპირზე. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს გამაგრებული პუნქტები ვერტიაჩი, პესკოვატკა, სოკარევკა, ილარიონოვსკი. ეს პუნქტები თავდაცვის ამ ხაზზე გერმანელების წინააღმდეგობის ძირითად კვანძებს წარმოადგენდნენ. სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სდევნიან მტერს, დაიკავეს დასახლებული პუნქტები ერმოხინსკი, ოზილნოე, ვერხნე-კურმოიარსკაია და სადგური ნებიკოვსკი.

29 ნოემბრის ბოლოს ტყვეთა რიცხვი 3.000 კაცით გადიდდა. სულ 19-დან 29 ნოემბრამდე წარმოებულ ბრძოლებში ტყვედ წამოყვანილია მტრის 66 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი.

19-დან 29 ნოემბრამდე წარმოებულ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს: ყველა ყალიბის ქვემეხი—2.000, ტყვიამფრქვევი—3.935, ტანკები ვარგისი და უწესივრო—1.379, ავტომანქანა—6.000-ზე მეტი, საზიდარი სამხედრო ქონებიანად—4.677, ცხენი—10.700, აგრეთვე 122 საწყობი სამხედრო ქონებიანად, საომარ მასალიანად და სურსათიანად. სტალინგრადის რაიონში მოსპობილია მტრის 72 სამმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი.

### II. ცენტრალურ ფრონტზე

29 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ცენტრალურ ფრონტზე, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას და იგერიებდნენ რა მის მიერ მოყვანილი რეზერვების კონტრიერიშებს, წარმატებით განაგრძობდნენ შეტევას. მტრის კონტრშეტევის ნაწილებს მნიშვნელოვანი ზარალი მივაყენეთ.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები და ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში ხელთ იგდეს: 55 ქვემეხი, 64 ტყვიამფრქვევი, 8 ტანკი, 15 საწყობი სამხედრო ქონებიანად, საომარ მასალიანად და სურსათიანად. მოსპობილია და დაზიანებულია მტრის 49 ტანკი.

ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა 4.800 ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

## ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება

### I. სტალინგრადთან

30 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა სტალინგრადთან, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს 6-10 კილომეტრით და მთელი რიგი გამაგრებული პუნქტები დაიკავეს.

26-დან 30 ნოემბრამდე წარმოებული ბრძოლების განმავლობაში მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა ჯარისკაცთა და ოფიცერთა 20.000-მდე გვამი.

### II. ცენტრალურ ფრონტზე

30 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ცენტრალურ ფრონტზე, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას და იგერიებდნენ რა მისი ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს, წარმატებით განაგრძობდნენ შეტევას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ერთი დღის ბრძოლების დროს ხელთ ვიგდეთ: 17 ტანკი, 37 ქვემეხი, 40 ტყვიამფრქვევი, 12 საწყობი და მოვსპეთ 58 ტანკი.

მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა ჯარისკაცთა და ოფიცერთა 7.500 გვამი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

## რჟევის დასავლეთით

**დასავლეთის ფრონტი,** 30 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). რჟევის დასავლეთით გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს. მტერი ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს შეაჩეროს საბჭოთა ჯარების წინსვლა. საკმაოა ითქვას, რომ ფრონტის ერთს ვიწრო უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ორი დღის განმავლობაში მოუხდათ მტრის 30 საარტილერიო და 9 სანაღმტყორცნო ბატარიის, 9 ცალკეული ქვემეხის, 33 ნაღმსატყორცნისა და 68 სატყვიამფრქვევო წერტის ჩახშობა.

მძლავრი საბრძოლო აღფრთოვანებით გამსჭვალული საბჭოთა მეომრები და მეთაურები სძლევენ ყველა დაბრკოლებას და შეუპოვრად მიიწევენ წინ. ერთ უბანზე ქვეითებს გზა გადაუღობა მტრის საარტილერიო ბატარიის მასირებულმა ცეცხლმა. ყუმბარების მთლიანმა აფეთქებამ ცეცხლის გაუვალი კედელი შექმნა. ბრძოლების რაიონში მძვინვარებდა ქარბუქი, და ცუდი ხილვადობა ჩვენს არტილერისტებს უშლიდა მტრის ბატარიის მოსპობას. მზვერავი დედკოვი დაწინაურდა, ზედ მიადგა მტრის პოზიციებს და იწყო ქვემეხთა სროლის კორექტირება. მტრის ბატარია მოსპობილ იქნა საბჭოთა არტილერისტების მიერ და ქვეითების ქვეგანაყოფებს შესაძლებლობა მიეცათ განევგრძოთ წინსვლა.

რჟევ-ვიაზმის რკინიგზის რაიონში გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს ორი პოლკი ქვეითი ჯარი და 50 ტანკი. საბჭოთა მებრძოლებმა ფაშისტები უკუაგდეს და წინ წაიწიეს. ბრძოლის ველზე დარჩა ბევრი მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და 20 მოსპობილი ტანკი. მტრის კონტრიერიში ჩაიფუშა სხვა უბანზეც. ჩვენმა ნაწილებმა გასწყვიტეს რამდენიმე ასეული ჰიტლერელი და მტერი აიძულეს უკან დაეხია.

მტრის ქვეითმა ჯარმა ტანკების დახმარებით არაერთგზის მოიტანა კონტრიერიში ჩვენ მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტებზე. არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების მასირებული ცეცხლით მტრის კონტრიერიშები მოგერიებულ იქნა. გერმანელებმა უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს რამდენიმე დაზიანებული ტანკი და ჯარისკაცებისა და ოფიცრების ბევრი გვამი.

ჰიტლერელთა სარდლობას საბჭოთა ქვეგანაყოფების წინააღმდეგ სამოქმედოდ გამოჰყავს ავიაცია. ჩვენი საზენიტო ქვემეხების ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 13 თვითმფრინავი და 2 დაზიანებულია.

საბჭოთა ჯარები სტეხენ გერმანელთა შეუპოვარ წინააღმდეგობას და განაგრძობენ წინსვლას.

მ. კაპლანსკი

## საზღვარგარეთის გამოხმაურება წითელი არმიის ნაწილების შეტევის გამო

### ა. შ. შტატები

#### „საბჭოთა შეტევა საუცხოოდ არის მომზადებული"

**ნიუ-იორკი,** 29 ნოემბერი (საკდესი). ცნობები საბჭოთა ჯარების შეტევის შესახებ, რომელიც გრძელდება, უდიდეს ინტერესს იწვევს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" სამხედრო მიმომხილველი ბოლდუინი ხაზს უსვამს, რომ ჰიტლერმა ინიციატივა დაჰკარგა.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა შეტევა საუცხოოდ არის მომზადებული. მძიმე ზარალის მიუხედავად, წითელი არმია არ ეძებს შესვენების შესაძლებლობას, არამედ აღსავსეა მტკიცე ნებისყოფით—კიდევ უფრო ძლიერად იბრძოლოს. „სტალინგრადისათვის წარმოებულმა ბრძოლამ დაარღვია ჰიტლერის გეგმები და სისხლისაგან დასცალა გერმანიის არმია". სტალინგრადზე ჰიტლერელთა შეტევამ, — აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, — ინგლისელებსა და ამერიკელებს შესაძლებლობა მისცა დაეწყოთ შეტევა ჩრდილოეთ აფრიკაში.

გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა" გამოაქვეყნა სტატია დოროტი ტომპსონისა, რომელიც სწერს: სტალინგრადის რაიონში საბჭოთა ჯარების წარმატებებმა დაადასტურეს სტალინის განცხადება იმის შესახებ, რომ მხოლოდ წითელ არმიას შეეძლო ეტანა და დაეძლია გერმანელ ფაშისტ ყაჩაღთა გამხეცებული ბანდების მოწოლა. საბჭოთა ჯარების შეტევამ ცხადჰყო აგრეთვე, რომ სსრ კავშირის მოწოდება ევროპაში მეორე ფრონტის შექმნისაკენ მიზნად ისახავდა შეზღუდული კი არ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ჰიტლერის განადგურებისათვის ბრძოლაში, არამედ, პირიქით, შექმნილი ყოფილიყო ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ჰიტლერის დამარცხება მოკავშირეთა ერთობლივი მოქმედების მეოხებით გარდუვალი გახდება.

როგორც აღნიშნავს გაზეთი „რიპაბლიკენი" (სპრინგფილდი, მასაჩუზეტსის შტატი), საბჭოთა შეტევა ჩრდილავს უკანასკნელი დროის ყველა სხვა მოვლენას და საფრთხეს უქმნის გერმანელთა ჯარების პოზიციებს კავკასიაში.

### ინგლისი

#### „შეტევა რუსეთის ძლიერების მაჩვენებელია"

**ლონდონი,** 29 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „ტაიმსი" სტალინგრადის რაიონში წითელი არმიის შეტევისადმი მიძღვნილ მოწინავეში სწერს, რომ თუ შეტევის გეგმა მთლიანად იქნა განხორციელებული, მაშინ გერმანიის დამარცხება შეიძლება ნამდვილ კატასტროფად გადაიქცეს.

„სტალინმა სთქვა,—სწერს შემდეგ გაზეთი, —რომ დგება დრო, როცა რუსები მოწინააღმდეგეს წითელი არმიის ახალი დარტყმების ძალას უჩვენებენო. და აი, პირველი დარტყმები უფრო მალე აგემეს მტერს, ვიდრე ამას ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილი უცხოელი მეთვალყურენი ვარაუდობდნენ, და; უეჭველია, გაცილებით უფრო მალე, ვიდრე მათ თვით გერმანელები მოელოდნენ. ამ დარტყმებისათვის მომენტის შერჩევა მოწმობს მთელი სტრატეგიული სიტუაციის რეალისტურ შეფასებას".

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" განსაკუთრებით აღნიშნავს წითელი არმიის შეტევითი ოპერაციების დამთხვევას მოკავშირეთა ჯარების წარმატებით მოქმედებასთან ჩრდილოეთ აფრიკაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის,—სწერს გაზეთი,— რომ „რუსებმა 18 თვის ბრძოლის შემდეგ, როგორიც ისტორიას არ ახსოვს, შესძლეს ასეთი ფართო მასშტაბებით დაეწყოთ შეტევა. ეს შეტევა რუსეთის ძლიერების მაჩვენებელია. ამ შეტევაში რუსები გვიჩვენებენ თავიანთი არტილერიის, ჯავშანსატანკო ჯარებისა და ავიაციის ძალას. ისინი მთელი სიცხადით გვიჩვენებენ აგრეთვე წითელი არმიის მეთაურთა ოსტატობის ხარისხს. ახლა გერმანელებს საშინელი დაძაბვის ატანა უხდებათ.

**ლონდონი,** 29 ნოემბერი (საკდესი). ცნობამ ცენტრალურ ფრონტზე წითელი არმიის შეტევის შესახებ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ინგლისში. რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც კი მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობის რადიოთი გადაცემა, იგი უკვე ტრანსლირებულ იქნა ლონდონის რადიოს მიერ, როგორც სასწრაფო ცნობა.

კვირის გაზეთებმა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს.

## ვურტყათ მტერს ფრონტზე — ცეცხლით, ზურგში — შრომით!

წითელი არმია განაგრძობს შეტევას სტალინგრადთან და ცენტრალურ ფრონტზე. იზრდება სია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებული დასახლებული პუნქტებისა. მტერი ებღაუჭება ყოველ ზღუდეს. იგი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. მტრის განლაგების სიღრმიდან განადგურებული ნაწილების დასახმარებლად სასწრაფოდ მოჰყავთ რეზერვები. მტერი არ ზოგავს ძალღონეს, რათა შეაკავოს, შეაჩეროს წითელი არმიის მამაცი ნაწილების შეტევა. მტერს გააფთრებული კონტრიერიშები მოაქვს.

ამაოდ!

წითელი არმია მტკიცედ და გეგმაზომიერად აწვება მთელი თავისი მრისხანე ძლიერებით, სტეხს წინააღმდეგობას, ანგრევს მტრის სიმაგრეებს, სპობს და ხელთ იგდებს მტრის ტექნიკას, მის საწყობებს, მომარაგების ბაზებს.

გუშინ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ფაშისტ ავაზაკებს ახალი დარტყმა ვაგემეთ. ქ. ველიკიე ლუკის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში და ქ. რჟევის დასავლეთით მდებარე რაიონში მტერს აგრეთვე მძიმე ზარალი მოსდის. ჩვენი მამაცი მეომრების მიერ განთავისუფლებულია საბჭოთა მიწა-წყლის ახალი უ[illegible], წამოღებულია უხვი დავლა.

დღეს ჩვ[illegible] ვაქვეყნებთ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას იმის შესახებ, რომ ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის ახალი ხაზი სტალინგრადის რაიონში დონის აღმოსავლეთ ნაპირზე და ხელთ იგდეს პუნქტები, რომლებიც თავდაცვის ამ ხაზზე გერმანელთა წინააღმდეგობის ძირითად კვანძებს წარმოადგენდნენ. მტერს სურდა თავისი ჯარების რკალში ჩაეხრჩო სტალინგრადი. მან აქ ააგო მრავალი ძელმიწური საცეცხლე წერტი, გამაგრებული კვანძები. იგი აქ ბინავდებოდა დიდი ხნით, აპირებდა გამოზამთრებას, მოხერხებულად ეწყობოდა ბლინდაჟებში, რომლებიც სავსე იყო ნაძარცვი საბჭოთა ქონებით. ბუმბულებით, ლეიბებით, ბალიშებით აწყობდა ფაშისტი მხეცი თავის ბუნაგს სტალინგრადთან. არამზადები ფიქრობდნენ, რომ მიწაში ღრმად ჩაძრომით მათ საფრთხე აღარ მოელოდათ წითელი არმიისაგან. ბრძოლაში ქანცგამოლეულნი, ისინი დასვენებაზე ოცნებობდნენ.

არ გამოუვიდათ, კვლავ მოსტყუვდნენ ანგარიშში გერმანელი სტრატეგები. ისინი თვითონ ჩაცვივდნენ იმ ორმოში, რომელსაც მთელი ზაფხულის, მთელი შემოდგომის განმავლობაში თხრიდნენ სტალინგრადისათვის, წითელი არმიისათვის. მტრის რკალი გმირული ქალაქის გარშემო გარღვეულია წითელი არმიის მიერ. თვითონ მათს გარშემო იკვრება საბჭოთა შეიარაღებული ძალების რკინისებური მარწუხი. ჩვენი არტილერიის ყუმბარები ანგრევენ ფაშისტთა მგლურ ბუნაგებს. შიშველ, დათოვლილ მინდვრებში ერეკება ფაშისტებს სოროებიდან ბასრი წითელარმიული ხიშტი!

მათ უკვე მოჰფინეს ათიათასობით გვამით მიწა, რომელსაც სიცოცხლისას თავიანთი სუთქვით ბილწავდნენ. და ეს მხოლოდ დასაწყისია. შეტევა გრძელდება. ჰიტლერელი დამპყრობნი სტალინგრადთან მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. მათი კომუნიკაციები გადაჭრილია. ბევრი საწყობი საომარ მასალიანად, საწვავიანად, სურსათიანად, ამუნიციანად მოსპობილია ან ჩვენ ჩაგვივარდა ხელში.

მაგრამ არა მარტო მოსპობილია მტრის მატერიალური და ცოცხალი ძალის დიდი ნაწილი. უდიდესი ზიანი მიადგა ავტორიტეტს ჰიტლერული გერმანიისას, როგორც ხელმძღვანელი ძალისას ღერძის სახელმწიფოთა სისტემაში. სულ ამ ახლო ხანში ეშმაკი შეუჯდა უჭკუო „ფიურერს" კვლავ —მერამდენეჯერ! — ყველას გასაგონად დაექადნა, სტალინგრადი უახლოეს ხანში აღებული იქნება გერმანელთა ჯარების მიერ. ამისათვის იგი უაზრო შეუპოვრობით ერეკებოდა სტალინგრადის წინააღმდეგ სულ ახალ-ახალ ძალებს სწორედ იმ დროს, როცა წითელი არმია ამზადებდა თავის გულდასმით მოფიქრებულსა და შემუშავებულ დარტყმას მტერზე.

შეტევაში წითელი არმიის გმირული ნაწილები გვიჩვენებენ თავდადებული მამაცობის, რკინისებური სიმტკიცის, თავისი სამშობლოსადმი მგზნებარე ერთგულების თვისებებს, რაც მთელი მსოფლიოსათვის არის ცნობილი. ამას ემატება ბრწყინვალე შეტევით გამოვლინებული სამხედრო ოსტატობის მაღალი თვისებები.

წითელმა არმიამ გვიჩვენა, რომ მას აქვს უნარი მოიპოვოს ინიციატივა— ბრძოლებში წარმატების საწინდარი.

მისალმებები წითელი არმიისადმი მოდის ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან, მსოფლიოს ყოველი კუთხიდან. საბჭოთა შეტევის წარმატება ამხნევებს ყველას, ვინც ბრძოლას ეწევა ფაშიზმის წინააღმდეგ. იგი გვიჩვენებს გაბედულების, სიმტკიცის, საბრძოლო ინიციატივის ფასს. წარმატება იმათია, ვინც მოქმედებს. ტყუილად როდი ამბობს რუსული ანდაზა: „მდებარე ქვის ქვეშ წყალიც არ მოძრაობსო".

შეტევის წარმატება ვერ მოხიბლავს წითელი არმიის მეთაურებსა და მებრძოლებს შესვენებით საბრძოლო ალოობის დროს, ვერ შეასუსტებინებს შეტევას, ვერ შეასუსტებინებს ტემპებს. არ არსებობს იმაზე მეტი საფრთხე, ვიდრე თვითდამშვიდება, უზრუნველობა, უდარდელობა. წარმატება გვავალებს ვიაროთ წინ, განვამტკიცოთ ყოველი ჩვენი ნაბიჯი, გვახსოვდეს, რომ მტერი ჯერ კიდევ ძლიერია, რომ იგი მთელი ძალებით გაგვიწევს წინააღმდეგობას, ეცდება დაიბრუნოს დაკარგული მდგომარეობა, დაიბრუნოს მისი ხელიდან გამოგლეჯილი ინიციატივა. ვურტყათ მტერს, ვურტყათ ცეცხლით!—ასეთია სამშობლოს ძახილი, ფრონტისადმი მიმართული.

ვურტყათ მტერს შრომით—ამ ძახილით მიმართავს სამშობლო ზურგს. ასიათასობით და მილიონობით საბჭოთა ადამიანები ამ ისტორიულ დღეებში უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით შრომობენ. ისინი მუშაობაში აქსოვენ მთელ თავის სიყვარულს წითელი არმიისადმი. ისინი ისწრაფვიან თავიანთი წვლილი შეიტანონ მტერზე გამარჯვების საერთო საქმეში. აურაცხელია მაგალითები შრომითი ენთუზიაზმისა, რაც გამოწვეულია ჩვენი მშობლიური წითელი არმიის შეტევის წარმატებით. ლენინგრადში N გემთმშენებელი ქარხნის ხარატმა ამხ. ანტოშკინმა, ასრულებდა რა სტალინგრადის გმირთა პატივსაცემად გამართულ მიტინგზე ნაკისრ ვალდებულებას, დღეში სამ-სამი ნორმის მოცემა იწყო. მთელი საამქროები ვადამდე ასრულებენ ნოემბრის პროგრამას სხვადასხვა ქალაქში.

ყოველივე ეს საუცხოოა. წარმატებითი შეტევით გამოწვეული საწარმოო აღმავლობა სასწაულებს ახდენს და შეუძლია კიდევ მეტი მოახდინოს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. უნდა ვისწავლოთ წითელი არმიისაგან მისი სიმტკიცე, უნარი მთელი მასით ყველა რთული საბრძოლო დავალების შესრულებისა, მისი დისციპლინა. ომის დროის შესაფერისად მუშაობა ჩვენს დღეებში ნიშნავს წითელი არმიისაგან გადმოვიღოთ საბრძოლო მუშაობის მისი მეთოდები; შევიმუშავოთ გეგმები გულდასმით, ღრმად, საქმის მთელი ცოდნით; გამოვიჩინოთ გაბედულება, სიახლე მოსაზრებაში, სიმტკიცე; მიღებული გეგმა შევასრულოთ ზუსტად, არ შევიწყნაროთ არავითარი ჩამორჩენა, არავითარი მოშვებულობა; მივიყვანოთ საქმე ბოლომდე.

სარატოვში N ქარხნის ზეინკალმა ნიკოლოზ რომანეცმა წითელი არმიის წარმატებითი შეტევისადმი მიძღვნილ მიტინგზე იკისრა ყოველდღიურად მოგვცეს ნორმის არანაკლებ 1.500 პროცენტისა. ეს ვალდებულება ამხ. რომანეცმა შეასრულა. მან განაცხადა:

— მე აღმაფრთოვანა ჩვენი ჯარების შეტევამ სტალინგრადთან... ჩემს შეტევას შრომაში მე განვაგრძობ. დარწმუნებული ვარ, რომ ახლანდელი რეკორდი საზღვარი არ არის.

შრომაში შეტევა მოითხოვს ცალკეული პატრიოტების, ცალკეული ბრიგადებისა და საამქროების გადიდებული გამომუშავებიდან მთელი საწარმოს გადიდებულ გამომუშავებაზე გადასვლას. შრომაში შეტევა არის პირველ რიგში შეტევა ჩამორჩენილობის, უძრაობის, გულგრილობის წინააღმდეგ შრომაში. საუცხოოა, როცა არიან მუშები, რომლებიც თავდადებით შრომობენ ზურგში ფრონტისათვის. ცუდია, არაფრად არ ვარგა, როცა მათ გვერდით არიან ჩამორჩენილნი. შრომაში შეტევა პარტიული ორგანიზაციებისაგან, კომკავშირული, პროფკავშირული, მთელი საქარხნო საზოგადოებრიობისაგან, ისევე როგორც საკოლმეურნეო საზოგადოებრიობისაგან მოითხოვს ულმობელ ბრძოლას ჩამორჩენასთან. ეს თანაბრად შეეხება სამრეწველო საწარმოების მიერ თავიანთი საწარმოო გეგმების შესრულებას, კოლმეურნეობათა მიერ — პურის დამზადებას.

წითელი არმიის შეტევა გრძელდება. იგი გაძლიერდება—ფრონტზე უძლიერესი ცეცხლით, მტრისათვის სწრაფი დარტყმით, ზურგში—თავდადებული შრომით, რომელიც ეხმარება წითელ არმიას მის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ.

„პრავდის" მოწინავე, 30/XI.

## „ამხანაგ სტალინის მოხსენება" ეკრანზე

დედაქალაქის უდიდეს კინოთეატრებში დაიწყეს ჩვენება კინოქრონიკის სპეციალური გამოშვებისა „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1942 წლის 6 ნოემბერს". გამოშვების მონტაჟი გაკეთებულია სტალინური პრემიის ლაურეატ რეჟისორ ი. კოპალინის მიერ. ფილმს იღებდნენ ოპერატორები ი. ბელიაკოვი, ს. გუსევი, რ. კარმენი, მ. ოშურკოვი და ს. სემიონოვი. ხმის ოპერატორები—ვ. კოტოვი და ვ. ნესტეროვი.

პირველ დღეს ფილმი ათიათასობით კაცმა ნახა.

იბეჭდება 300 ცალი პირი, რომლებიც უახლოეს დღეებში გაიგზავნება ფრონტზე და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. (საკდესი).

## გერმანელი გენერლის აღიარება

„პრავდის" 29 ნოემბრის მოწინავე წერილში „ახალი დარტყმა მტერზე" მოყვანილია ტყვე გერმანელი გენერლის აღიარება. „პრავდა" წერს:

„სტალინგრადის შეტევის სისწრაფემ, უეცრობამ და ძალამ თავზარი დასცა მოწინააღმდეგეს. საბჭოთა ჯარების მიერ ტყვედ წამოყვანილმა გენერალმა, რომელიც მტრის ერთ-ერთ დივიზიას მეთაურობდა, შემდეგი განაცხადა: „შეტევის შედეგები უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ იგი გულდასმით მომზადებული და კარგად განხორციელებულია. ოპერაცია ჩატარებულ იქნა დიდი წარმატებით. ჯარების გვარეობათა თანამოქმედება კარგად იყო მოფიქრებული და განხორციელებული".

მტრის ეს აღიარება ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა წარმატებით ტარდება წითელი არმიის შეტევითი ოპერაციები სტალინგრადის რაიონში.

## ს. მ. კიროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენები

მოსკოვში, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში და სახელმწიფო საჯარო ისტორიულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის სერგეი მირონის-ძე კიროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენები. გამოფენებზე ექსპონირებულია ს. მ. კიროვის სტატიები და სიტყვები და მის შესახებ დაწერილი წიგნები: ბიოგრაფიული ლიტერატურა, პუბლიცისტური სტატიები, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მიერ გამოთქმული აზრები.

ს. მ. კიროვის პორტრეტქვეშ მოყვანილია ციტატა მისი სიტყვიდან: „დაე იცოდეს ყველამ, ვისაც კი სურს თავისი ღორის დინგი შეჰყოს საბჭოთა კავშირის ბაღში (?) — ვიცით: მტრის ჯარები საბჭოთა კავშირის ხარჯზე გამოასწოროს, რომ ჩვენ შეგვძლებთ მოვაწყოთ მოწინააღმდეგის სრული განადგურება ფრონტზე". (საკდესი).

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 29 ნოემბრის დილის ცნობა

28 ნოემბრის ღამის განმავლობაში **სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე** ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით.

* * *

ქალაქ სტალინგრადის ჩრდილოეთ ნაწილში მტრის ქვეითი ჯარის დიდმა ძალებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა მებრძოლებმა კონტრდარტყმით უკუაგდეს ჰიტლერელები პირვანდელ პოზიციებზე და ამასთან გასწყვიტეს მტრის 450 ჯარისკაცი და ოფიცერი. საქარხნო დაბაში 6 ნაწილმა დახოცა 200 ჰიტლერელი და დააზიანა გერმანელთა 2 ტანკი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას და იგერიებდნენ რა მის კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ წინსვლას. ერთ უბანზე ბრძოლებში ჩვენი ნაწილების მიერ გუშინ გაწყვეტილია მტრის 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია 66 ქვემეხი, 2 ვარგისი თვითმფრინავი, 200-მდე ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად, 7 ტანკი, 6 ტრაქტორი, 2 საწყობი საომარ მასალიანად, 80 კასრი ავიაბენზინიანად და სხვა დავლა. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა გაფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს დასახლებული პუნქტი. დასახლებული პუნქტის მისადგომებზე და მის ქუჩებში დათვლილია მტრის 800 გვამი. დაზიანებულია და წამოღებულია გერმანელთა 11 ტანკი.

ჩვენი მფრინავების მიერ საჰაერო ბრძოლებში და მტრის აეროდრომებზე სტალინგრადთან მოსპობილია გერმანელთა 12 ავიაგამანადგურებელი, 6 ბომბდამშენი და 46 სატრანსპორტო თვითმფრინავი. სულ დღეღამის განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 64 თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ერთი ჩვენი შენაერთის მებრძოლებმა გასწყვიტეს 700 ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 8 ქვემეხი, 35 ტყვიამფრქვევი, 19 ნაღმსატყორცნი, საომარი მასალების საწყობი და 2 ნივთსაწყობი. საბჭოთა არტილერია წინ მიიწევს ქვეითს ჯართან ერთად და მტრებს მძიმე ზარალს აყენებს. 6 ნაწილის არტილერისტებმა ორი დღის განმავლობაში დააზიანეს გერმანელთა 22 ტანკი, მოსპეს 14 ქვემეხი, 40-მდე ავტომანქანა, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გასწყვიტეს მტრის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე საბჭოთა ჯარები, სძლევენ რა გერმანელთა შეუპოვარ წინააღმდეგობას და იგერიებენ რა გაფთრებულ კონტრიერიშებს, განაგრძობენ გარღვევის გაფართოებას ფრონტით და სიღრმით. ერთ უბანზე ჩვენმა შემტევმა ნაწილებმა დაანგრიეს მტრის 57 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, მოსპეს გერმანელთა 6 ტანკი, 10 ქვემეხი, 90 ტყვიამფრქვევი, 20 ნაღმსატყორცნი და საომარი მასალების საწყობი. ჩვენი მფრინავების მიერ საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 18 თვითმფრინავი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. 6 ნაწილი გაფთრებულ ბრძოლებს ეწევა ერთი დასახლებული პუნქტის ქუჩებში. სხვა უბანზე საბჭოთა ქვეგანაყოფებმა წინ წაიწიეს და გასწყვიტეს მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია გერმანელთა 6 ტანკი, 5 ქვემეხი და სხვა დავლა. ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 9 თვითმფრინავი და დააზიანეს 7 თვითმფრინავი.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე საჰაერო დაზვერვამ მტრის ერთ აეროდრომზე აღმოაჩინა გერმანელთა თვითმფრინავების მნიშვნელოვანი დაჯგუფება. საბჭოთა მფრინავებმა დაარტყეს მტრის აეროდრომს. მოსპობილია მტრის 12 თვითმფრინავი.

* * *

ჩრდილოეთ-კავკასიაში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის სარკინიგზო ეშელონი საომარ მასალიანად და ცოცხალ ძალიანად. დამტვრეულია ორთქლმავალი და 8 ვაგონი. მოძრაობა რკინიგზის ამ უბანზე შეწყვეტილი იყო სამი დღით. სხვა პარტიზანულმა რაზმმა ნაღმებზე ააფეთქა მტრის 2 სატვირთო ავტომანქანა, 1 ჯავშნიანი მანქანა და საფრიდან დახოცა 70 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა მთლად გაძარცვეს ლენინგრადის ოლქის სოფელ ვისტავკის გლეხები. მათ გლეხებს წაართვეს პირუტყვი, სურსათი და პირადი ნივთები. ჰიტლერელმა ჯალათებმა დახვრიტეს და ჩამოახრჩეს ამ სოფლის 17 მცხოვრები. კოლმეურნე ეგნატე საველიევი, მისი ცოლი და ორი მცირეწლოვანი ბავშვი ფაშისტმა ურჯუკებმა ცოცხლად დასწვეს.

* * *

იუგოსლავიელმა პარტიზანებმა გერმანელ ოკუპანტთაგან გასწმინდეს რკინის მადნის შახტები ბოსნიაში: ლიუბია, სტარი მაიდანი და სტარა რიეკა. ჰიტლერელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ განადგურებულ და უკუგდებულ იქნენ. პარტიზანებმა წაიყვანეს ბევრი ტყვე, რომელთა შორისაც არიან გერმანელი პოდპოლკოვნიკი და კაპიტანი.

## 29 ნოემბრის საღამოს ცნობა

**29** ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები **ქალ. სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე** სძლევდნენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას და განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს გამაგრებული პუნქტები **ვერტიაჩი, პესკოვატკა, სოკარევკა, ილარიონოვსკი.** სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ერმოხინსკი, ობილნოე, ვერხნე-კურმოიარსკაია** და სადგური **ნებიკოვსკი.**

გასულ კვირაში, 22-დან 29 ნოემბრამდე, საჰაერო ბრძოლებში, აეროდრომებზე და საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 234 თვითმფრინავი, აქედან 72 სამმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 97 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

28 ნოემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს გერმანელთა 20 ტანკი, 200-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და სხვადასხვა ტვირთიანად, ჩააქრეს 12 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, ააფეთქეს 10 საწყობი საომარ მასალიანად, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ქალაქ სტალინგრადის ჩრდილოეთ ნაწილში მტერმა იერიშები მოიტანა. ჩვენი ჯარების მიერ დაკავებული მუშათა დაბის რაიონში. ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა იერიშები და მოსპეს მოწინააღმდეგის 750-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 13 ტყვიამფრქვევი, 165 შაშხანა, რამდენიმე ნაღმსატყორცნი და ტანკსაწინააღმდეგო თოფი. ქალაქის სამხრეთ განაპირა უბანში ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს 300-400 მეტრით. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით გვამი. წამოღებულია იარაღი და საომარი მასალა.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეუპოვარ შეტევით ბრძოლებს განაგრძობდნენ. მტერმა კონტრიერიშებით სცადა შეეკავებინა საბჭოთა ნაწილების წინსვლა. ჰიტლერელთა ყველა იერიში მოგერიებულია მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. დღის განმავლობაში მოსპობილია მტრის 1.400 ჯარისკაცი და ოფიცერი, 13 ქვემეხი და 90 ავტომანქანა. წამოყვანილია მრავალი ტყვე. ხელთ ვიგდეთ 19 ქვემეხი, 47 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალების ორი საწყობი. ჩვენმა მებრძოლებმა მტრის წინააღმდეგობა დასძლიეს და რამდენიმე გამაგრებული დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ძალთა ნაწილით წინ მიიწევდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. სხვა უბნებზე ჩვენი ნაწილები ჰიტლერელთა გაფთრებულ იერიშებს იგერიებდნენ. მტერს უდიდესი ზარალი მოსდის. არასრული ცნობებით, მოსპობილია მტრის 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 15 ტანკი, 20 ქვემეხი, 15 ნაღმსატყორცნი, 48 ტყვიამფრქვევი და დანგრეულია 30 ძელმიწური საცეცხლე წერტი. ხელთ ვიგდეთ დავლა: 28 ქვემეხი, 200 ავტომანქანა, 500 ათასი ყუმბარა, ორ მილიონზე მეტი ვაზნა და სხვადასხვა სამხედრო ქონება. 6 საკავალერიო შენაერთი წარმატებით სდევნის უკანდახეულ ჰიტლერელებს.

ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 11 სატრანსპორტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევითს ოპერაციებს განაგრძობდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს და ხშირად კონტრიერიშებზე გადმოდის. რჟევ-ვიაზმის გზის რაიონში გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს ორი პოლკი ქვეითი ჯარი და 50 ტანკი. ჩვენმა ნაწილებმა უკუაგდეს ჰიტლერელები და წინ წაიწიეს. ბრძოლის ველზე მტრის დიდძალი გვამი დარჩა. მოსპობილია გერმანელთა 20 ტანკი. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით და უკან დაიხიეს.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს მტრის მიერ გამაგრებული მაღლობი. მაღლობის ფერდობებზე დარჩა მტრის 250 გვამი. სხვა უბანზე საბჭოთა მებრძოლებმა რამდენიმე კონტრიერიში მოიგერიეს და ერთ ასეულზე მეტი ჰიტლერელი მოსპეს.

შავი ზღვის ფლოტის მფრინავებმა—გვარდიის კაპიტნებმა ვასილენკომ და ოვსიანიკოვმა იერიში მიიტანეს მტრის 5.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტზე. მტრის ტრანსპორტი ჩაძირულ იქნა ზუსტად ნასროლი ტორპედოთი.

* * *

ამ დღეებში სმოლენსკელ პარტიზანთა რაზმს ბრძოლა ჰქონდა გერმანელთა დიდ სადამსჯელო რაზმთან. პარტიზანებმა მოსპეს საშუალო ტანკი, 5 ავტომანქანა, 3 საზიდარი საომარ მასალიანად და გაჟლიტეს 107 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მეორე პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის 2 სარკინიგზო ეშელონი. დაიმსხვრა 2 ორთქლმავალი და 20 ვაგონი. მარცხის შედეგად მოკლული და დაჭრილია 300-მდე ჰიტლერელი.

## 30 ნოემბრის დილის ცნობა

29 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები **სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე** განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით.

* * *

ქალაქ სტალინგრადის საქარხნო ნაწილში ჩვენი ჯარები ცეცხლითს ბრძოლას და მტრის თავდაცვის დაზვერვას ეწეოდნენ. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით გაწყვეტილია გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, მოსპობილია 3 საარტილერიო ბატარეა, 21 ტყვიამფრქვევი, დანგრეულია 38 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. ქალაქის სამხრეთ გარეუბანში 6 ნაწილის მებრძოლებმა ღამით მიიტანეს იერიში და ჰიტლერელებისაგან გასწმინდეს 12 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვის ახალი ხაზი დონის აღმოსავლეთ ნაპირზე და ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ღამის განმავლობაში გაწყვეტილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 6 მსროლელთა ნაწილმა, რომელიც მოქმედებდა ტანკისტებთან ერთად ამხ. გრანოვსკის მეთაურობით და არტილერისტებთან ერთად ამხ. გლებოვის მეთაურობით, დაიკავა მტრის მნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტი და რამდენიმე კილომეტრით წაიწია წინ.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიში, დასწვეს და დააზიანეს გერმანელთა 11 ტანკი და გასწყვიტეს 200-ზე მეტი გერმანელი მეავტომატე. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 3 თვითმფრინავი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდეს 50 ვაგონი საომარ მასალიანად, 3 ვაგონი მედიკამენტებიანად, საომარი მასალების საწყობი, საწვავის საწყობი, სურსათის საწყობი, 36 ქვემეხი, 50 მოტოციკლი, 100 ველოსიპედი და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

ფრონტის ცენტრალურ უბანზე, სძლევდნენ რა გერმანელთა წინააღმდეგობას და იგერიებდნენ რა მათს კონტრიერიშებს, ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 6 ნაწილის მებრძოლებმა შეუპოვარ ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 7 ტანკი და 350 ჰიტლერელი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დაიკავეს მტრის ძასაყრდენი პუნქტი და ხელთ იგდეს 8 ქვემეხი, 14 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი, რადიოსადგური და საომარი მასალების საწყობი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 600-მდე გვამი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა იერიში მოიტანეს. არტილერისტებმა ამხ. ლიუბიმოვის მეთაურობით დააზიანეს გერმანელთა 3 ტანკი. მტრის ქვეითი ჯარი, რომელიც ტანკებს მოჰყვებოდა გაფანტულ იქნა იმ ქვეგანაყოფის მეტყვიამფრქვევეთა ცეცხლით, რომლის მეთაურიც არის ამხ. კრავცევი. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა და პირვანდელ პოზიციებზე დაიხია.

* * *

ბარანოვიჩის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის 3 სარკინიგზო ეშელონი ცოცხალ ძალიანად და 5 ეშელონი სამხედრო ქონებიანად. მოკლულია 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 8 ორთქლმავალი და 82 ვაგონი.

* * *

სტალინგრადის ოლქის დასახლებულ პუნქტ იაგოდნის გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლების შემდეგ წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა ჯგუფმა შეადგინა აქტი ქვემოთ მოხსენებულზე: „გერმანელმა ფაშისტმა ავაზაკებმა აიკლეს დასახლებული პუნქტის კოლმეურნეები და გერმანიაში საკატორღო სამუშაოზე გარეკეს მცხოვრებნი. 144 სახლიდან და სხვა ნაგებობიდან 135 დანგრეული და მოსპობილია ჰიტლერელების მიერ. გერმანელმა ბანდიტებმა დაჰკლეს მთელი პირუტყვი და მოსპეს ხეხილის ბაღები. ჰიტლერელებმა კოლმეურნეობასა და კოლმეურნეებს რამდენიმე მილიონი მანეთის ზარალი მიაყენეს“.

## 30 ნოემბრის საღამოს ცნობა

30 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები **ქალ. სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე** სძლევდნენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას და განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით.

* * *

29 ნოემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს გერმანელთა 17 ტანკი, 130-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და სხვადასხვა ტვირთიანად, 50 საზიდარი საომარ მასალიანად, ჩააქრეს 10 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის 2 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენი ნაწილები ცეცხლითს ბრძოლას ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან. ქალაქის სამხრეთ განაპირა უბანში ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და გასწმინდეს ჰიტლერელთაგან მთელი რიგი ძელმიწური საცეცხლე წერტები და ბლინდაჟები. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის ორმა ბატალიონმა 30 ტანკთან ერთად სცადა კონტრიერიში მიეტანა ჩვენს ქვეგანაყოფებზე. მოწინააღმდეგემ, რომელმაც ამ ბრძოლაში 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და 7 ტანკი დაჰკარგა, საწყის პოზიციებზე დაიხია.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის თავდაცვის სიღრმეში დონის აღმოსავლეთ ნაპირზე. დაკავებულია სანგარსასვლელთა განშტოებული სისტემის მქონე რამდენიმე სიმაგრე, ძელმიწური საცეცხლე წერტები, ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო დაბრკოლებანი. მოსპობილია 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 12 ტანკი, 29 ქვემეხი და 47 ტყვიამფრქვევი. გუშინ ჩვენი ნაწილების მიერ დაკავებულ გამაგრებულ პუნქტ ვერტიაჩში ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 17 ტანკი, 5 ქვემეხი, 110 ავტომანქანა, 17 მოტოციკლი, 50 საზიდარი, ამუნიციის საწყობი და ფურაჟის საწყობი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, იგერიებდნენ მის კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. დღის განმავლობაში ბრძოლებში მოსპობილია მტრის 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 12 ტანკი, 15 ქვემეხი, 14 ნაღმსატყორცნი, 65 ტყვიამფრქვევი, დანგრეულია 36 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. მებრძოლებმა ამხ. ჩორნის მეთაურობით გარეკეს გერმანელები დასახლებული პუნქტიდან, რომელიც მათ თავდაცვის გამაგრებულ კვანძად გადაექციათ. მტერმა ვერ გაუძლო არტილერიის, ტანკებისა და ქვეითი ჯარის ერთობლივ დარტყმას, მიატოვა იარაღი და სამხედრო ქონება და სწრაფად დაიხია უკან. დასახლებული პუნქტის ქუჩებში მტრის 300-ზე მეტი გვამი დათვალეს. მოსპობილია 9 ქვემეხი, 42 ტყვიამფრქვევი, ხელთ ვიგდეთ რამდენიმე საწყობი სამხედრო ქონებიანად. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები შეუპოვარ შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. მტერი ეყრდნობა ძლიერ გამაგრებულ თავდაცვითს კვანძებს და მოსული რეზერვები გამოჰყავს კონტრიერიშებზე. საბჭოთა ნაწილები, რომელნიც კონტრიერიშებს იგერიებენ და წინ მიიწევენ, მძიმე ზარალს აყენებენ გერმანელებს. 6 ნაწილის მებრძოლებმა დასახლებულ პუნქტში, რომელიც ეხლა არის გაათავისუფლეს ჰიტლერელთაგან, დათვალეს მტრის 650 გვამი და 7 დამწვარი ტანკი. ხელთ ვიგდეთ 6 ქვემეხი, 19 ტყვიამფრქვევი, საომარი მასალების საწყობი, სურსათის საწყობი და მრავალი სხვადასხვა სამხედრო ქონება. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა დიდი დამარცხება აგემეს მტრის ერთი დივიზიის ნაწილებს. ბრძოლის ველზე ასობით მოკლული გერმანელი დარჩა. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 16 ქვემეხი და 6 ტანკი.

ჩვენი მფრინავების მიერ საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ბრძოლის ველზე ჩამოგდებულია გერმანელთა 4 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადელ პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სარკინიგზო ეშელონი. მარცხის შედეგად დაიმტვრა ორთქლმავალი და 25 ვაგონი. რკინიგზის ამ უბანზე მატარებელთა მიმოსვლა შეწყვეტილი იყო ორ დღე-ღამის.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით საბჭოთა ნაწილებმა ამასწინათ ოსების ერთი სოფელი დაიკავეს. მათ გამოარკვიეს, რომ ჰიტლერელ ბანდიტებს ოკუპაციის დროს ამ სოფლის მთელი მოსახლეობა გაუძარცვავთ. ჰიტლერელები კარდაკარ დადიოდნენ და ართმევდნენ სურსათს, ტანსაცმელს და ყველა ნივთს, რომელსაც კი რაიმე ღირებულება ჰქონდა. ძარცვა-ყაჩაღობას თან ახლდა მოხუცთა და ქალთა აბუჩად აგდება. ბანდიტებმა ზუმბით სცემეს კოლმეურნე ქალებს კოსტუევასა და კოკოევას. 70 წლის მოხუც სალტანოვს ჰიტლერელებმა ისე სცემეს, რომ იგი გარდაიცვალა. საკოლმეურნეო თავლის ნანგრევებში ჩვენმა მებრძოლებმა იპოვნეს ტყვე წითელარმიელთა 36 დაგლეჯილი გვამი. გამორკვეულია, რომ გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა აწამეს ტყვე წითელარმიელები, შემდეგ კი დახვრიტეს.

* * *

გერმანული გაზეთები იუწყებიან იმ პირთა დაპატიმრება-დახვრეტის შესახებ, რომელნიც „უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ომის გამო და არა სწამთ გერმანიის გამარჯვება“. ლაიპციგში „სს“-ელებმა და პოლიციამ 130 მუშა დააპატიმრეს. დრეზდენში დაითხოვეს და დააპატიმრეს ფაშისტ მოხელეთა დიდი ჯგუფი „უკმაყოფილო ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში გულგრილობისა და პასიურობის გამოჩენისათვის“. ჰიტლერელებმა რეპრესიები გააძლიერეს უცხოელი მუშების წინააღმდეგაც. ბერლინის ერთ სამხედრო ქარხანაში მათ დააპატიმრეს 80 იტალიელი და ფრანგი, რომელთაც გამომუშავების ნორმა არ შეასრულეს.

# ბოლშევიკი მეომარი

რვა წლის წინათ ხალხის მტრებმა, ფაშიზმის ტროცკისტ-ზინოვიეველმა დაქირავებულმა აგენტებმა ავაზაკური სროლით ჩვენს რიგებს გამოჰგლიჯეს რკინისებური ბოლშევიკი, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, მგზნებარე სახალხო ტრიბუნი, დიდი სტალინის ერთ-ერთი უახლოესი მოწაფე და თანამებრძოლი სერგეი მირონის-ძე კიროვი. მათ სურდათ არეულარევა შეეტანათ ჩვენს რიგებში. ისინი სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში. შავბნელი შეთქმულნი გაწყვეტილ იქნენ, მეხუთე კოლონა ჩვენს ქვეყანაში განადგურებულ იქნა. კიროვი ცოცხლობს საბჭოთა ხალხის ხსოვნაში. დღეს, კიროვის სიკვდილის წლისთავის დღეს, საბჭოთა ხალხი კვლავ იგონებს ამ დაუცხრომელი რევოლუციონერის, პატრიოტისა და მეომრის ცხოვრების წარმტაც გზას.

კიროვი მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი იყო. და ყველა თავისი ტალანტი მან სამშობლოს სამსახურს მოახმარა.

საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელი სივრცენი, რომლებიც დასახლებულია მრავალრიცხოვანი მოძმე ხალხებით, ხედავდნენ კიროვს და ხედავდნენ მის საქმეებს. პარტია კიროვს ჰგზავნიდა ყველაზე პასუხსაგებ და ყველაზე საშიშ უბნებში. იგი იყო კავკასიის მთებშიც, ვოლგის ნაპირებზეც, შავი ქალაქის — ბაქოს კოშკურათა შორისაც, ყაზახეთის ველებშიც და ნევის ნაპირებზეც, ლენინის ქალაქში.

იგი იბრძოდა და აშენებდა. იგი განამტკიცებდა ხალხთა მეგობრობას, ამხილებდა და ანადგურებდა ხალხის მტრებს.

ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის მშფოთვარე წლებში იგი ბრძოლაში აერთიანებდა კაზაკებსა და მთიელებს, აერთიანებდა ინგუშებსა და ოსებს, რაზმავდა ყაბარდოელებს, ბალყარელებსა და დაღისტნელებს. ჩრდილოეთ კავკასიაში პიატიგორსკის ყრილობაზე მან საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა და, როცა დადგა დრო რეაქციის ძალთა წინააღმდეგ ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისა, მან მოაწყო პარტიზანული რაზმები, რომელთაც იმ შემთხვევაშიც კი, თუ თეთრების შემოტევის გამო მთებში წასვლა მოუხდებოდათ, ბრძოლა უნდა განეგრძოთ. იგი მოსკოვს წავიდა, რათა მთიელი პარტიზანებისათვის იარაღი მიეტანა. როცა მას უნდოდა კავკასიაში დაბრუნებულიყო, გზა უკვე გადაჭრილი იყო. მაშინ იგი გაემართა ასტრახანს და მოაწყო ვოლგის დაცვა. მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა კავკასიას.

XII არმიის ნაწილებსაც ყიზლარის მახლობლად, დაღისტნის პარტიზანებსაც და ბაქოს არალეგალურ მუშაკებსაც — ყველას ჰქონდა მასთან მუდმივი კავშირი, მუშაობდნენ მისი ინსტრუქციების მიხედვით, ამზადებდნენ თეთრთა უღლისაგან კავკასიის განთავისუფლებას. როგორც დღეს, ისე მაშინაც, გროზნოს ნავთის მუშაკები, ჩაჩნები და ინგუშები, კუმისა და თერგის ქვემოწელის კაზაკები იგერიებდნენ მეტად ძლიერი მტრის იერიშებს და ელოდნენ გადამწყვეტი დარტყმის მომენტს. და ეს მომენტიც დადგა.

კიროვმა ასტრახანი მიუვალ სიმაგრედ აქცია. მას ეკუთვნის შესანიშნავი სიტყვები: „სანამ ასტრახანის მხარეში თუნდაც ერთი კომუნისტია მდინარე ვოლგის შესართავი საბჭოთა იყო, არის და იქნება!“

მან XI არმია მრისხანე საბრძოლო ძალად გარდაჰქმნა და მასთან ერთად ველებითა და ქვიშნარით ჩრდილოეთ კავკასიაში მივიდა.

მან შეიმუშავა გეგმა ბაქოზე ლაშქრობისა, რომელიც ხელში ჰქონდათ ჩაგდებული მუსავატისტებს — თურქ ნაციონალისტებს. და ბრწყინვალე ოპერაციით დერბენტიდან შეიჭრა ბაქოში და საბჭოთა ხალხისათვის გაათავისუფლა ნავთის ქალაქი.

იგი მიმოდიოდა კავკასიის მიწა-წყალზე მოზეიმე ხალხთა შორის და ყოველივეს აკეთებდა იმისათვის, რათა ადამიანებს მალე დავიწყებოდათ წარსულის შავბნელი დროება, რათა განადგურებულ სოფლებსა და აულებს მალე დაეწყოთ მშვიდობიანი და მდიდრული ცხოვრება. ყველგან ეგებებოდნენ მას ყონაღები, ე. ი. მეგობრები კავკასიის სხვადასხვა ტომთაგან. მგზნებარე ტრიბუნი, იგი წარმოსთქვამდა სიტყვებს, რომლებიც ღრმად სწვდებოდნენ გულში მთიელებს. იგი ლაპარაკობდა წითელი არმიის—ხალხთა განმათავისუფლებლის შესახებ, წითელი დროშის შესახებ, რომლის ფერიც სიმბოლურად მოაგონებს იმ სისხლს, რაც გმირებმა ხალხის ბედნიერებისათვის დაღვარეს. ჯერ კიდევ მთელი კავკასია როდი იყო განთავისუფლებული. და იგი იმუშავებდა გაბედულსა და უმაგალითო გეგმას ზამთარში მთებზე მიუვალ მამისონის უღელტეხილით წითელი არმიის ნაწილების გადასასვლელად. ეს შეუძლებლად ითვლებოდა. მაგრამ წითელარმიელები იარაღიანად და საჭურვლიანად გადავიდნენ მამისონს, და საქართველოში დაეშვნენ. ამიერკავკასია [illegible] საბჭოთა გახდა.

განამტკიცებდა რა ხალხთა მეგობრობას, იგი მუშაობდა მზიურ ბაქოში, მუშაობდა ნავთისთვისაც, ბამბისთვისაც, ქალის განთავისუფლებისთვისაც, რომელიც მოქცეული იყო მუსლიმანურ საყოფაცხოვრებო ჩვეულებათა მარწუხში, და მეგობრობით აერთიანებდა წინათ მოშუღლე ქართველებს, სომხებსა და თურქებს.

კავკასიაში შრომისა და ვოლგაზე საბრძოლო დღეების შემდეგ, ჩვენ მას ვხედავთ უკვე მებრძოლს ოპოზიციის წინააღმდეგ ლენინგრადში, 1926 წლის თებერვალში. გაჰფანტა რა შავბნელი ხროვის ნაშთები, სერგეი მირონის-ძე მუშაობს ლენინის დიდი ქალაქის თავდაცვის განსამტკიცებლად.

იწყება სტალინური ხუთწლედები. და იგი დაუღალავად ისწრაფვის ლენინგრადი აქციოს იმ ცენტრად, რომელიც უდიდეს გავლენას მოახდენს კავშირის, საბჭოთა ჩრდილოეთისა და ბალტიკის მთელი მრეწველობის განვითარებაზე.

პროფკავშირთა საგუბერნიო ყრილობის საზეიმო სხდომაზე 1926 წლის ნოემბერში იგი ამბობს ღირსშესანიშნავ სიტყვებს: „ქალაქმა ლენინგრადმა და ლენინგრადის მრეწველობამ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, დაახლოებით, სწორედ ისეთივე როლი უნდა შეასრულონ, როგორიც ამ ქალაქმა და ლენინგრადის პროლეტარიატმა შეასრულეს ჩვენი დიდი რევოლუციის ყველა ეტაპზე“.

ეს სიტყვები ცხოვრებაში განხორციელდა. კიროვი აშენებდა არა მარტო ქარხნებს და არა მარტო ადევნებდა თვალყურს ლენინგრადის ოლქის მთელ მშვიდობიან განვითარებას. იგი უდიდეს ყურადღებას უთმობდა სამხედრო საკითხებს — ლენინგრადის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებს.

იგი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ იზრდებოდა ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, როგორ მაგრდებოდა საზღვარი, როგორ ასწავლიდნენ ახალ ნაწილებს, როგორ ეუფლებოდნენ ტანკისტები და მფრინავები სამხედრო ტექნიკის ახალ დარგებს, როგორ უშვებდნენ წყალში ახალ საბრძოლო ხომალდებს. იგი ეუბნებოდა ბალტიელ მეზღვაურებს: „ლენინის დიდი ქალაქის მთავარ კარიბჭეს მტკიცე ბოქლომი უნდა ჰქონდეს, უნდა იცავდეს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანობას, რათა ვერავითარმა ძალამ ვერ შესძლოს მისი გაღება“.

მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, წითელი არმიის ზრდისათვის. იგი დაუღალავი და მგზნებარე იყო მუშაობაში. მას ღრმად სწამდა ძლევამოსილი ძალა საბჭოთა კავშირის ხალხებისა, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის დროშით დიდი აყვავებისაკენ მიემართებიან. ჯერ კიდევ ბაქოში, რომელიც სავსე იყო მენშევიკური ჯგუფების ნაშთებით, 1920 წელს მიტინგზე მან სთქვა, რომ, როგორც მზე აშუქებს მიწას, ისე ფართოვდება რევოლუციის ზრდაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. მაშინ პაწია მენშევიკმა მიაძახა: ნუ დაგვივიწყდებათ, რომ არის ხოლმე ღამე, როცა მზე არ ანათებსო.

— თუ ბოლშევიკებს დასჭირდებათ, რომ ღამით მზე ანათებდეს, ჩვენ ამის გაკეთებასაც მოვახერხებთო, — უპასუხა კიროვმა.

მან მართლაც იცოდა მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლის ბნელი ღამეების განათება თავისი ცეცხლოვანი ენერგიის სინათლით, განუწყვეტელი ქარიშხალივით ატყდებოდა თავს მტრებს. და დღეს, როცა გერმანელთა შემოსევის ღამე ჯოჯოხეთური გრგვინვით დაეცა დალოცვილი კავკასიის მთების კალთებს, თერგის მშვიდობიან მინდვრებს, ვოლგის ვრცელ ველებს, ლენინის ქალაქის შორეულ და მახლობელ მისადგომებს, თავისუფალი ნევის ნაპირებს, ამ ღამეს მზესავით ანათებს საგმირო საქმეები საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთგული შვილებისა, რომლებიც ანადგურებენ მტრის ურდოებს. კიროვი ამ უბადლო გმირთა შორის იქნებოდა, მოღალატის ტყვიას რომ მისი სიცოცხლე არ შეეწყვიტა. მაგრამ მისი ხსოვნა აღაფრთოვანებს მებრძოლებს ახალი საგმირო საქმეებისათვის სამშობლოს სადიდებლად, მისი ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. კიროვის უშიშრობა, გაბედულება, მოხერხებულობა, თავდადება — ბოლშევიკისა და რუსი პატრიოტის ყოფაქცევის უბრწყინვალესი ნიმუშებია ბრძოლის შავბნელ ჟამს.

კიროვის სახელი წმიდაა საბჭოთა ხალხებისათვის. და დღეს მას, როგორც საბრძოლო ძახილს, იმეორებენ ლენინგრადისა და თბილისის, ბაქოსა და სტალინგრადის, ასტრახანისა და მურმანსკის ადამიანები. მას გამარჯვებისაკენ მიჰყავს მებრძოლნი.

**ნიკოლოზ ტიხონოვი**

# სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით

გასული დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ სწარმოებდა შეუპოვარი ბრძოლები. მტერი სულ უფრო და უფრო ხშირად გადმოდის კონტრიერიშზე. მას მოჰყავს რეზერვები და ცდილობს შეაჩეროს ჩვენი ნაწილების წინსვლა. მიუხედავად ამისა, წითელი არმიის ნაწილები კვლავ წინ მიიწევენ და პოზიციებს იუმჯობესებენ. ჩვენი ნაწილები გარს ერტყმიან მტრის ცალკეულ დაჯგუფებებს და გამანადგურებლად ურტყამენ მათ.

საბჭოთა ტანკები და ცხენოსანი ჯარი კონცენტრირებულად ურტყამენ გერმანელთა თავდაცვას და აქუცმაცებენ გარშემორტყმულ დაჯგუფებებს.

გუშინ მოწმენდილი, ყინვიანი დღე იყო. ამან ჩვენს ავიაციას შესაძლებლობა მისცა რამდენჯერმე დაერტყა მტრის კოლონებისა და ალალებისათვის. როგორც ეკიპაჟებმა შეამჩნიეს, მოსპობილი და დაზიანებულია 50-მდე ავტომობილი ქვეით ჯარიანად და ტვირთიანად, 30 საზიდავი, 75 ცხენი. გერმანელთა ჯარების განლაგებაში ჩამოყრილ იქნა რამდენიმე ასეული ათასი ფურცელი გერმანულ ენაზე. დღის განმავლობაში საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა მტრის 12 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

დარტყმებმა, რაც მტერს ჩვენმა ნაწილებმა ერთსა და იმავე დროს, სხვადასხვა მხრიდან აგემეს, ჩაშალეს გერმანელთა სარდლობის გეგმები. გერმანელები ერთი დარტყმის შემდეგ ვერ ასწრებენ გონს მოსვლას, რომ მათ სხვა ადგილას ატყდება თავს საბჭოთა იარაღის ძლიერება.

ერთ უბანზე ფაშისტებმა დიდი რაოდენობით მოუყარეს თავი ჯარებს, ხოლო ადგილზე მოაწყეს მთლიანი დანაღმული ველები ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებებით. ჩვენმა სარდლობამ იერიშის მოფიქრებული გეგმა შეიმუშავა. შეტევაზე ერთი მხრიდან მიმავალმა ნაწილებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს მდინარის დასავლეთი ნაპირი, ხოლო მეორე მხრიდან წინ გაიჭრნენ სხვა ქვეგანაყოფები. გერმანელებმა რომლებიც ფლანგიდან და ფრონტიდან გაჩაღებულ გრიგალისებურ ცეცხლში მოხვდნენ. სამხრეთისაკენ უკანდახევა იწყეს და ზედიზედ სტოვებდნენ სიმაგრეებს. მაგრამ ჩვენმა ნაწილებმა მათ ზურგშიც მოახერხეს გასვლა. ჩვენი ჯარების რკინის რგოლი სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ერტყმოდა გერმანელებს. საველე გზებით რეზერვების მოყვანა თითქმის შეუძლებელი გახდა. მტერი იძულებული შეიქნა მიემართნა სატრანსპორტო თვითმფრინავებისათვის, მაგრამ მათაც დიდი ზარალი მოსდით.

ბრძოლა გაფთრებით სწარმოებს. მტერი უკიდურეს ზომამდე ძაბავს თავის ძალებს და გვიწევს წინააღმდეგობას. იერიშებს თან ერთვის ხანგრძლივი ხელჩართული შეტაკებანი. ჩვენი მებრძოლები და მეთაურები დიდ სიმამაცესა და უნარს იჩენენ.

წითელარმიელი შატკინი გერმანელთა ბლინდაჟში შეიჭრა და ფაშისტებს მიბრჯენ ულეტდა ავტომატით. როდესაც გერმანელები გაიქცნენ, შატკინმა ხელი სტაცა მათ მიერ მიტოვებულ ასეულის ნაღმსატყორცნს და გაქცეულებს ცეცხლი დაუშინა.

სერჟანტმა ზოტოვმა ნაღმსატყორცნიანად მტრის თითქმის ზედ სანგრებამდე წაიწია და ნაღმებს ზუსტად ესროდა მიზანში, რითაც მტრების ბანაკში პანიკა გამოიწვია. გერმანელები სწრაფად სტოვებდნენ თავიანთ სანგრებს.

შემტევი ნაწილების ავანგარდში კომუნისტები მიდიან. როდესაც რთული ვითარება შეიქმნა და ჰიტლერელები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ, ერთ-ერთი ქვეგანაყოფის პარტიული ბიუროს მდივანი კირიაკოვი პირველი ეკვეთა ფაშისტებს შეძახილით: „სიკვდილი ფაშისტებს! სამშობლოსათვის!“. მტრის კონტრიერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან მას დიდი ზარალი მოუვიდა.

ქვეგანაყოფის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა აქსენოვმა ისარგებლა ჩვენი ტანკების წინსვლით, სწრაფი გადარბენით დიდმნიშვნელოვან მაღლობს მიაღწია, დაიკავა იგი და ქვეგანაყოფიანად მაღლობზე გამაგრდა.

ბატარეის მეთაურმა ლეიტენანტმა შეპელიუკმა ხუთწუთიანი ცეცხლითი თავდასხმის განმავლობაში გაჰფანტა და ნაწილობრივ გაჟლიტა მტრის ერთ ოცეულამდე ქვეითი ჯარი, მოსპო ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და დაზგის ტყვიამფრქვევი.

ათასობით ასეთი ფაქტი მოწმობს ჩვენი მეომრების შეუკავებელ შეტევითს აღფრთოვანებას, რომელიც სულ უფრო და უფრო მატულობს.

**(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).**

# უფროს სერჟანტ ო. მგალობლიშვილისა და უმცროს სერჟანტ ვ. კალანდიას სიმამაცე

კომკავშირელებმა უფროსმა სერჟანტმა ოთარ იასონის-ძე მგალობლიშვილმა და უმცროსმა სერჟანტმა ვარლამ ზაქარიას-ძე კალანდიამ ერთ-ერთ ბრძოლაში თავდადებული სიმამაცე გამოიჩინეს.

ამხ. მგალობლიშვილის ქვემეხის გუნდმა მიიღო საბრძოლო ბრძანება ცეცხლი დაეშინა მტრის ტანკებისა და საცეცხლე წერტებისათვის. ოსტატურად შენიღბულმა გუნდმა მტრის მანქანები 100 მეტრის მანძილზე მოუშვა და გრიგალისებური ცეცხლი დაუშინა. ამ დროს გამოჩნდა მტრის თვითმფრინავი, რომელმაც რამდენიმე ბომბი ჩამოჰყარა და გუნდს ტყვიამფრქვევის ძლიერი სროლა აუტეხა. დაიჭრნენ მეზიზნე და გუნდის დანარჩენი მებრძოლები. ქვემეხთან დარჩნენ მგალობლიშვილი და კალანდია. მათ მოფარებულ ადგილას მოათავსეს დაჭრილი ამხანაგები და განაგრძეს ბრძოლა. ამხ. მგალობლიშვილმა მემიზნეობა იკისრა და ამხ. კალანდიასთან ერთად ზუსტი სროლით დააზიანა მტრის ორი ტანკი, ხოლო დანარჩენები აიძულა უკან გაბრუნებულიყვნენ.

მამაცმა მებრძოლებმა მიიღეს ბრძანება ახალ საცეცხლე პოზიციაზე გადასვლის შესახებ და შეუდგნენ ქვემეხის გამოგორებას. ამ დროს მათ სროლა აუტეხეს ჩვენს თავდაცვაში შემოჭრილმა მტრის მეავტომატეებმა. მგალობლიშვილმა საპასუხო ცეცხლით გაჰფანტა ისინი და ქვემეხი საომარ მასალიანად ახალ პოზიციაზე მიიტანა. ამასთან ერთად ამხ. მგალობლიშვილმა და კალანდიამ თავიანთი დაჭრილი ამხანაგები გაიყვანეს ბრძოლის ველიდან.

**ვ. კულაჩკოვი**

I რანგის ინტენდანტი.




მოქმედი არმია (სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით) წითელი არმიის მეომრები მესამე თვეა ეწევიან გმირულ ბრძოლას, იცავენ რა სტალინგრადს მტრის ურდოებისაგან. **სურათზე:** მებრძოლები ტანკების დახმარებით ერეკებიან გერმანელებს დასაყრდენი პუნქტიდან.

ფოტო გ. კაპუსტას (საკდესის ფოტოქრონიკა).

# თათბირი აგიტპუნქტების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების საკითხზე

29 ნოემბერს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში შესდგა რაიაგიტპუნქტების, საწარმოთა და დაწესებულებათა აგიტპუნქტების უფროსთა საერთო-საქალაქო თათბირი აგიტპუნქტების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების საკითხზე.

თათბირს დაესწრნენ აგრეთვე პარტიის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ აგიტპუნქტების უფროსები, რომლებმაც თათბირის მონაწილეებს მოუთხრეს დიდი სამამულო ომის დღეებში აგიტპუნქტების მიერ გაწეული საიაგიტაციო მუშაობის გამოცდილებაზე.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აგიტპუნქტის უფროსმა ამხ. ვილოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ აგიტპუნქტი სერიოზულ ყურადღებას აქცევს დიდი სამამულო ომის დღეებში ბოლშევიკური აგიტაციის ფართოდ გაშლას. საიაგიტაციო მუშაობას ეწევიან როგორც პროფესორები ისე სტუდენტები. აგიტატორების დასახმარებლად აგიტპუნქტში მოწყობილია გამოფენა, მიძღვნილი სამამულო ომის საკითხებისადმი, სისტემატურად ტარდება აგიტკოლექტივის მეცადინეობა.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის აგიტპუნქტის უფროსმა ამხ. სხილაძემ ილაპარაკა ბოლშევიკური აგიტაციის ქმედითობაზე. საიაგიტაციო მუშაობის კარგად წარმართვა საამქროებში დიდად უწყობს ხელს საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებას. მუშა აგიტატორები ამხ. სამთელაძე და კირაკოზოვი წარმატებით ასრულებენ სამუშაო გეგმებს და ამავე დროს კარგ აგიტატორებად ითვლებიან. აგიტატორი კირაკოზოვი ეწევა მიმზიდველ, დამაჯერებელ აგიტაციას, იგი მსმენელებს სისტემატურად აცნობს ქარხნის მოწინავე ადამიანებს, მათ ბრძოლას საწარმოო დავალებათა გადამეტებით შესრულებისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვაში. აგიტპუნქტის მუშაობა წარმართულია იქითკენ, რომ მასებს გააცნოს სამამულო ომის ამოცანები გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, გააძლიეროს რევოლუციური სიფხიზლე მუშებს შორის, კიდევ უფრო განამტკიცოს რწმენა ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე. ამხ. სხილაძემ აღნიშნა, რომ მუშები გულმოდგინედ სწავლობენ ხალხთა საყვარელი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ მოხსენებას და 7 ნოემბრის ბრძანებას. დასასრულ მან განაცხადა, რომ ქარხანაში საიაგიტაციო მუშაობა ჯერ კიდევ ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე ღამის ცვლებში. ზოგიერთ საამქროში დაგვიანებით გამოდის კედლის გაზეთები.

თბილისის 6 ქარხნის აგიტპუნქტის უფროსმა ამხ. ბურლაკოვამ თათბირს მოუთხრო აგიტპუნქტის მუშაობის გამოცდილებაზე. მან აღნიშნა, რომ ზეპირ საიაგიტაციო მუშაობასთან ერთად ქარხანაში დიდ როლს თამაშობს თვალსაჩინო აგიტაციის სხვადასხვა ფორმები. კერძოდ, დიდი პოპულარობით სარგებლობს საიაგიტაციო ფურცელი „ელვა“, რომელშიც ასახულია ცალკეული მუშების სტახანოვური მუშაობის მეთოდები. ამხ. ბურლაკოვამ მოიყვანა იმის მაგალითები, თუ როგორ გაიზარდა ქარხანაში სტახანოველთა რიგები საიაგიტაციო მუშაობის კარგად დაყენების შედეგად. ქარხანაში აგიტატორებად მუშაობენ ხელმძღვანელი მუშაკები, საამქროების უფროსები, ცვლების ოსტატები.

ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის აგიტპუნქტის უფროსმა ამხ. ლ. ჯავახაძემ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ეხმარება აგიტპუნქტი აგიტატორებს საიაგიტაციო მუშაობის უკეთ წარმართვაში. აგიტპუნქტში ეწყობა სემინარები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. აგიტატორები ეხმარებიან ახალგაზრდა მუშებს თავიანთი საქმის დაუფლებაში. მაგალითად, საამქროს უფროსი, აგიტატორი ამხ. ხაჩატუროვი ახალგაზრდა მუშებს აცნობს ქარხანაში მომჭირნეობისათვის ბრძოლის საკითხებს, ეხმარება მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში. დიდი **სტალინის** ისტორიული მოხსენებისა და 7 ნოემბრის ბრძანების შესწავლა წრეებში გაცხოველებით მიმდინარეობს. ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების ღრმად შესასწავლად აგიტპუნქტმა აგიტატორებისათვის მოაწყო სათანადო ლიტერატურის გამოფენა. გამოფენა მოეწყო აგრეთვე თემაზე—ამხანაგი სტალინი ხალხთა დიდი ბელადი და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მხედართმთავარი.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის აგიტპუნქტის უფროსი ამხ. სკვორცოვა, თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიაგიტპუნქტის უფროსი ამხ. ჯოხაძე, ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის კვანძის პოლიტგანყოფილების აგიტპუნქტის უფროსი ამხ. ტატიშვილი.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ნიკიტენკო, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა სამამულო ომის ვითარებაში აგიტპუნქტების წინაშე მდგომ ამოცანებზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის უფროსმა ამხ. ბაქრაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია.

# ჩერჩილის გამოსვლა რადიოთი

**ლონდონი,** 30 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, თავის გამოსვლაში რადიოთი 29 ნოემბერს საღამოს ჩერჩილმა სთქვა:

„მას შემდეგ, რაც ორი კვირის წინათ ჩვენმა ზარებმა დარეკეს ელ-ალამეინთან მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად, მოვლენები კვლავ ხელსაყრელად ვითარდებოდა. მერვე არმიამ თითქმის 650 კილომეტრით წაიწია წინ და მიერეკებოდა გაცამტვერებულ ძლიერ ძალებს, რომელთა საშუალებითაც, როგორც იკვეხნიდა რომმელი და როგორც ფიქრობდნენ ჰიტლერი და მუსოლინი, უნდა დაეპყროთ ეგვიპტე. შესაძლოა, მეორე სერიოზული ბრძოლა მოხდეს ტრიპოლიტანიის მისადგომებზე.

აფრიკის სხვა კუთხეში, დასავლეთით 1.600 კილომეტრზე ან უფრო მეტზედაც კი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ წამოწყებული უდიდესი მასშტაბის ერთობლივი მოქმედება, რომელსაც ესოდენ გაუთვალისწინებელი ამბები მოჰყვა, აგრეთვე გასაოცარი წარმატებით დამთავრდა.

ამჟამად ბრიტანეთის პირველი არმია მძიმე დარტყმებს აგემებს ტუნისში დარჩენილ უკანასკნელ რაიონებს, სადაც გამაგრდნენ გერმანელები და იტალიელები. ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები მხარდამხარ სწრაფად მიიწევენ წინ.

მე ვილაპარაკე აფრიკაზე და 3.200 კილომეტრ სანაპირო ხაზზე, რომელიც დამორჩილებული ევროპის წინ გადის. ჩვენ განზრახვა გვაქვს და ვბედავ კიდევაც ვთქვა რომ იმედი გვაქვს ახლო მომავალში განვდევნოთ მოწინააღმდეგე მთელი ამ ხაზიდან.

აფრიკა—ეს გასაჩერებელი ადგილი როდია. აფრიკა—მტკიცე პოზიცია კი არ არის, არამედ ტრამპლინია. ჩვენ გამოვიყენებთ აფრიკას იმისათვის, რომ უფრო ახლოს შევხვდეთ მოწინააღმდეგეს.

ყველას შეუძლია გაიგოს ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს ჩვენთვის ხმელთაშუა ზღვის გახსნას სამხედრო ტრანსპორტისათვის და კეთილი იმედის კონცხის ირგვლივ ხანგრძლივი ნაოსნობის შესამცირებლად. ჩვენ ვიწყებთ აგრეთვე საჰაერო ბრძოლას ახალ ფრონტზე. დატანჯული მსოფლიოს მდგომარეობა რომ შევამსუბუქოთ, საჭიროა მაქსიმალურად განვავითაროთ ბრძოლა ჰაერში. გერმანიის ავიაცია უკვე ილევა. ახალი თვითმფრინავების მშენებლობა ვერ ანაზღაურებს იმ ზარალს, რაც მას მოსდის. პირველი ხაზის თვითმფრინავთა რაოდენობა მცირდება, მათი ხარისხი კი საერთოდ უარესდება.

უკვე ახლა ინგლისის, ამერიკისა და რუსეთის საჰაერო ძალები, ერთად აღებული, მნიშვნელოვნად სჭარბობს გერმანიისას და განუხრელად მატულობს.

ჩვენმა ოპერაციებმა საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში უნდა მოგვცეს შესაძლებლობა, რომ ომის სიმძიმე ისეთი ძალით დავატეხოთ თავს იტალიის ფაშისტურ სახელმწიფოს, რომლის შესახებ არც კი უფიქრიათ მის დანაშაულებრივ ხელმძღვანელებს და კიდევ უფრო ნაკლებად ფიქრობდა უბედური ხალხი, რომელსაც მუსოლინიმ პატივი აჰყარა და ექსპლოატაციას უწევს.

უკვე ახლა ჩრდილოეთ იტალიის სამხედრო მრეწველობის ცენტრებს ისეთი სასტიკი განსაცდელი ადგათ, როგორიც არასოდეს არ განუცდია არც ერთ ჩვენს ქალაქს 1940 წლის ზამთრის განმავლობაში. მაგრამ თუ შესაფერ დროს მოწინააღმდეგე განდევნილ იქნება ტუნისის ნაპირიდან, რაც ჩვენს მიზანს წარმოადგენს—მთელს სამხრეთ იტალიას, ყველა სამხედრო-საზღვაო ბაზას, ყველა სამხედრო საწარმოს და სხვა სამხედრო ობიექტებს, იმის მიუხედავად, „თუ სად მდებარეობენ ისინი, თავს დაატყდებათ ხანგრძლივი მეთოდური და გამანადგურებელი საჰაერო თავდასხმები. სიტყვა ეკუთვნის 40-მილიონიან იტალიელ ხალხს: სურს თუ არა სურს მას, რომ ეს საშინელება გადახდეს.

იტალიელ ხალხს სრულიადაც არ სჭირდებოდა ომში ჩაბმა. მასზე თავდასხმას არავინ არ აპირებდა. მაგრამ მუსოლინიმ თავი ვერ შეიკავა იმ ცთუნებისაგან, რომ დაერტყა ზურგში წაქცეული საფრანგეთისა და ინგლისისათვის, რომელიც მას უძლურად მიაჩნდა.

მუსოლინი, თავისი ბუნებით აფთარი, არღვევს რიგიანობის ყოველ საზღვარს, რომ აღარა ვთქვათ რა საღ გონებაზე. დღეს მისი იმპერია გაჰქრა. ჩვენს ხელშია, როგორც სამხედრო ტყვე, 100-ზე მეტი იტალიელი გენერალი და თითქმის 300.000 ჯარისკაცი. აგონიას შეუპყრია მშვენიერი ქვეყანა—იტალია.

აფრიკაში მოპოვებულმა წარმატებებმა, რაც უნდა სწრაფი და გადამწყვეტი იყოს ეს წარმატებანი, ჩვენი ყურადღება არ უნდა ჩამოაშოროს იმ დარტყმებს, რომლებსაც რუსები ახორციელებენ აღმოსავლეთის ფრონტზე და რომლებიც სასწაულს უდრის. მთელი მსოფლიო აღტაცებაში მოდის, როცა ფიქრობს იმ გიგანტურ ძალაზე, რომელიც რუსეთმა შესძლო შეენარჩუნებინა და გამოეყენებინა. სტალინგრადის დაუძლეველი დაცვა სტალინის სამხედრო ხელმძღვანელობის შესაფერისია.

გიგანტური ბრძოლა, რომელმაც უკვე გამოიღო პირველხარისხოვანი მნიშვნელობის შედეგები, თავის კულმინაციურ პუნქტს უახლოვდება. უნდა მოგაგონოთ, რომ ეს არის მხოლოდ ნაწილი რუსეთის ვრცელი ფრონტისა, რომელიც გადაჭიმულია თეთრიდან შავ ზღვამდე, და ამ ფრონტზე რუსებს ბევრ პუნქტში მიაქვთ იერიში. მეორე რუსული ზამთარი თავს ატყდება ჰიტლერელთა არმიებს. გერმანელთა 180 დივიზია, რომელთაგან მრავალი შემცირდა ბრიგადის ოდენობამდე ზარალისა და გაჭირვების შედეგად, და მანიაკის ფანტაზიით თავის კერებს მოწყვეტილ უბადრუკ იტალიელთა, რუმინელთა და უნგრელთა არმია—უკუქცეულნი, შურისმგებელ საბჭოთა არმიების ცეცხლისა და ტყვიის ქვეშ ბარბაცით მავალნი, შესუსტებული ძალებითა და გაორებული შიშით უნდა ემზადებოდნენ იმის ახალი კერძისათვის, რაც მათ უკვე მიიღეს შარშან.

ჩერჩილი შეეხო საფრანგეთის ამბებს და განაცხადა: „ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ამასწინანდელი ამბების შემდეგ იმის იდეალები და სულისკვეთება, რასაც ჩვენ მებრძოლ საფრანგეთს ვუწოდებთ, გადამწყვეტ გავლენას მოახდენს მთელ ფრანგ ხალხზე. მე ვეთანხმები გენერალ დე გოლს, როცა იგი ამბობს, მოტყუების საბურველი მოსცილდა ახლა ფრანგი ხალხის თვალსო. ჭეშმარიტად დროც არის".

ჩერჩილი გაფრთხილებას იძლევა, რომ ამავე დროს „დღემდე მომხდარ არც ერთ ამბავს არ შეუძლია გაამართლოს იმის იმედი, რომ ომი ხანგრძლივი არ იქნება და რომ ჩვენ არ მოგველის მძიმე სისხლისმღვრელი წლები".

სავსებით შესაძლებელია,—განაგრძო ჩერჩილმა,—რომ ომი ევროპაში დამთავრდება უფრო ადრე, ვიდრე ომი აზიაში. „იმედი უნდა ვიქონიოთ,—სთქვა ჩერჩილმა დასასრულ,—რომ ჩვენ ახლანდელი ომის დამთავრების შემდეგ შევძლებთ მივაღწიოთ ევროპის პრობლემათა უკეთეს, უფრო ფართო და უფრო მტკიცე გადაწყვეტას, ვიდრე შესაძლებელი იყო მეოთხედი საუკუნის წინათ".

# უილკის გამოსვლა ტორონტოში შემდგარ მასობრივ მიტინგზე

**ოტავა,** 29 ნოემბერი (საკდესი). ტორონტოს უდიდეს დარბაზში შესდგა მასობრივი მიტინგი „ომში რუსეთისადმი დახმარების კანადის ფონდისათვის" 1.000.000 დოლარის შეგროვების კამპანიის დაწყების აღსანიშნავად. მიტინგს დაესწრო 18 ათასი კაცი. მიტინგზე ორატორად იყო უენდელ უილკი.

თავისი სიტყვის დასაწყისში უილკიმ ილაპარაკა „რუსი მოკავშირეების მამაცობასა და გმირობაზე, რომლებმაც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ თავიანთი ოსტატური და შეუპოვარი ბრძოლით დაამტკიცეს, რომ სახელმწიფოს იმ სისტემას, რაც მათთან არსებობს, მოგვწონს ეს ჩვენ თუ არ მოგვწონს, გააჩნია ძალა, რომელიც გამომდინარეობს არა მარტო ხელმძღვანელებისაგან, არამედ თვით ხალხისაგანაც".

უილკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეტისმეტად საჭიროა იმ საერთო მიზნების განსაზღვრა, რომლებსაც მოკავშირენი ისახავენ ომში. ეს საფუძველი უნდა იყოს არა მარტო ომის საწარმოებლად საერთო მტრის წინააღმდეგ, არამედ ყველა გაერთიანებული ქვეყნის ომისშემდგომი თანამშრომლობისთვისაც. მოკავშირეთა ხელმძღვანელებმა უკვე აღნიშნეს ზოგიერთი საერთო მისწრაფება. სტალინმა ჩამოაყალიბა ნათელი და ზუსტი პროგრამა.

უილკიმ ორჯერ წაუკითხა შეკრებილთ ამხ. სტალინის ეს განცხადება მისი 1942 წლის 6 ნოემბრის მოხსენებიდან და სთქვა: „გეკითხებით, შესძლებს თუ არა რომელიმე დიდი დემოკრატიული ქვეყნის რომელიმე მოქალაქე იპოვნოს სტალინის მიერ ფორმირებულ მიზნებში ისეთი რამ, რაზედაც შეიძლებოდეს გამოდავება? მიზნების ასეთი განსაზღვრა,—სთქვა უილკიმ,—შეეძლო დაეწერა ჩერჩილს ან რუზველტს, მაგრამ ისე მოხდა, რომ სწორედ სტალინმა მოგვცა იმ მიზნების განსაზღვრა, რომლებისთვისაც ჩვენ ვიბრძვით".

თუმცა სტალინი ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის მოქმედების პროგრამაზე ლაპარაკობდა,—სთქვა შემდეგ უილკიმ,—მაგრამ ეს პროგრამა მთელი მსოფლიოსათვის გამოდგება. უილკიმ მოუწოდა კანადელებს სრული ნდობით მოეპყრან ომის მიზნების საბჭოთა განსაზღვრას.

„დემოკრატიულ ქვეყნებში,—სთქვა უილკიმ,—ბევრს შიში ჰქონდა რუსეთისა და არ ენდობოდა მას, რადგან ეშინოდათ, ჩვენს საკუთარ წესწყობილებაში რუსეთის ეკონომიური წყობა არ შემოიჭრასო". უილკიმ სასაცილოდ აიღო ამგვარი შეხედულებანი და განაცხადა: „რუსეთს არც იმის განზრახვა აქვს, რომ შეგვჭამოს, არც იმისა, რომ შეგვაცდინოს, და ჩვენ შევინარჩუნებთ ჩვენს წესწყობილებას, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ეკონომიკა ბოროტმოქმედებათა და წარუმატებლობათა შედეგად იმდენად მყიფე არ გახდება, რომ ეს ჩვენ სუსტსა და მერყევს გაგვხდის. უილკიმ შემდეგ განაცხადა, რომ „ომში გაღებული უდიდესი მსხვერპლი და მიღწევები საბჭოთა ხალხებისა, საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია სტალინის კეთილი ნებისა და პასუხისა იმათთვის, ვისაც შეიძლება ეჭვი შეჰქონდა ამ კეთილი ნების არსებობაში".

კრება მქუხარე ტაშით შეხვდა უილკის შემდეგს დასკვნით სიტყვებს: „მსგავსად იმისა, როგორც აფრიკის ფრონტი რუსეთის ფრონტს წარმოადგენს, ისევე სტალინგრადისა და ცენტრალური ფრონტები ჩვენს ფრონტებს წარმოადგენენ, ხოლო რუსი ხალხი, რომელიც ფრონტებზე იბრძვის ან მათს ზურგში იმყოფება, დღეს ჩვენი მოკავშირეა, ხვალ კი ჩვენი მეგობარი უნდა დარჩეს".

# „ტულონელმა მეზღვაურებმა თავიანთი გმირობით წინააღმდეგობისათვის აამხედრეს საფრანგეთი"

### ინგლისის პრესა ტულონის ამბების შესახებ

**ლონდონი,** 30 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის პრესაში გამოქვეყნებული უკანასკნელი ცნობების თანახმად, ზოგიერთმა გემმა, მათ შორის ნაღმოსნებმა, მოახერხა ტულონიდან წასვლა.

გაზეთი „ივნინგ სტანდარდი" სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „სიკვდილი და დიდება", ხაზგასმით აღნიშნავს უდიდეს საფრთხეს, რაც მოკავშირეთათვის შეიქმნებოდა, საფრანგეთის გემები რომ ჰიტლერს ჩავარდნოდა ხელში.

„დაღუპვა ამ ფლოტისა, რომელიც თავისი მნიშვნელობით მეოთხე იყო მსოფლიოში,—სწერს გაზეთი „სტარი",—უფრო მეტად დარაზმავს საფრანგეთს მტრის წინააღმდეგ, ვიდრე რომელიმე მოვლენა საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ".

გაზეთი „ივნინგ ნიუსი" აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ფლოტის მიერ გაღებული მსხვერპლი არკვევს მდგომარეობას ხმელთაშუა ზღვაში, ართმევს რა ჰიტლერს საშინელ იარაღს მოკავშირეთა წინააღმდეგ.

გაზეთი „ტაიმსი" მოწინავე სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „დიდება ტულონს", სწერს: „ტულონის ფლოტის დაღუპვის მომენტში დამონებული საფრანგეთი აღსდგა. თავიანთი გმირობით ტულონის მეზღვაურებმა აამხედრეს საფრანგეთი ჰიტლერის ბოროტგანზრახული აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად".

ადმირალი მიუზელიე გაზეთ „სანდი ტაიმსში" მოთავსებულ სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „საფრანგეთის ფლოტი აღორძინდება", სწერს, რომ დაიღუპა სულ ცოტა ოთხი მეხუთედი მთელი საფრანგეთის ფლოტისა. მიუხედავად ამისა, მიუზელიე იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის ფლოტი „აღორძინდება ფერფლისაგან ახალი ძალებით აღსავსე და შეუერთდება გაერთიანებულ ერთა საზღვაო ფლოტებს".

# რატომ არ გავიდა ტულონიდან საფრანგეთის ფლოტი

**ლონდონი,** 29 ნოემბერი (საკდესი). აფის სააგენტო იუწყება, რომ ტულონში მყოფ ყველაზე დიდრონ ხომალდებს არ შეეძლოთ ზღვაში გასვლა, რადგან სარემონტოდ იყვნენ დაყენებულნი. სხვა ხომალდების უმეტესობაც აგრეთვე არ იყო მზად ზღვაში გასასვლელად. მათი ეკიპაჟები არ იყვნენ დაკომპლექტებულნი, აკლდათ არტილერისტები, არა ჰქონდათ არავითარი საჰაერო თავდაცვა. გერმანელთა თვითმფრინავები კი მახლობლად იყვნენ და შეეძლოთ დაეწყოთ მოქმედება ხომალდთა მოძრაობის პირველ ნიშნისთანავე. წყლები დანაღმული იყო მაგნიტური ნაღმებით. გარდა ამისა, ფლოტს არა ჰქონდა საკმაო საწვავი.

# მუსოლინი იტალიის არმიიდან ითხოვს „არაკეთილსაიმედო ელემენტებს"

**ლონდონი,** 30 ნოემბერი (საკდესი) გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" იუწყება, რომ იტალიის ფაშისტი ხელისუფალნი იტალიის არმიიდან ითხოვენ „არაკეთილსაიმედო ელემენტებს". ამას წინათ სანავსადგურო ქალაქ ჩივიტა ვეკიაში, რომის მახლობლად ძლიერმა საპოლიციო მცველმა რაზმმა ჩაიყვანა ხელბორკილგაყრილი 57 იტალიელი ჯარისკაცი. როგორც გადმოგვცემენ, 15-20 წლის პატიმრობამისჯილ ჯარისკაცებს ჰგზავნიან სპეციალურ საპყრობილეში ასინარის კუნძულზე (სარდინიის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირთან).

**კომუნისტი**

სამშაბათი, 1 დეკემბერი. 1942 წ. № 284 (6600)

## საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

**ლონდონი,** 29 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მტერი ისწრაფვის შეაჩეროს ინგლისელთა ჯარების წინსვლა ტუნისში, რისთვისაც ცდილობს ააფეთქოს გზატკეცილები და რკინიგზები. მოკავშირეთა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები და 27 ნოემბერს გაიარეს ტებურბე, რომელიც 20 მილზე მდებარეობს ტუნისის დასავლეთით. ბრძოლაში მტერმა 10 ტანკი დაჰკარგა. ბიზერტას და ტუნისს გარდა, მტრის ხელში არის სამხრეთის რამდენიმე ნავსადგური, მათ შორის სფაქსი და ჰაბესი.

**ლონდონი,** 29 ნოემბერი (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ღერძის სახელმწიფოთა ჯარები ბიზერტა-ტუნისის რაიონში 24 ათასამდე კაცისაგან შესდგება, მეტწილად გერმანელთაგან. მტერს განუწყვეტლივ მოსდის მაშველი ძალები ჰაერით სიცილიიდან.

**ლონდონი,** 30 ნოემბერი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ტუნისში ღერძის სახელმწიფოთა ჯარები თავდაცვითი ბრძოლებით კმაყოფილდებოდნენ. უშედეგო კონტრიერიშის შემდეგ მოწინააღმდეგის ნაწილებმა დაიხიეს თავიანთ თავდაცვითს პოზიციებზე, რომლებიც ნახევარრკალად მდებარეობს ტუნისისა და ბიზერტის წინ. მოკავშირეთა პარაშუტისტებმა იერიში მიიტანეს იტალიელ-გერმანელთა პოზიციებზე ტუნის-ბიზერტის ხაზის დიდი სარკინიგზო კვანძის—მატერის ახლოს.

იუწყებიან, რომ ჩრდილოეთისა და სამხრეთში მოწინააღმდეგე უკან იხევს, ამასთან კომუნიკაციებს სპობს.

## საომარი მოქმედება ტუნისში

**ლონდონი,** 30 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის პირველი არმია უკვე ზარბაზნის სასროლ მანძილზე იმყოფება ტუნისთან. ფიქრობენ, რომ ბრძანება საერთო შეტევის შესახებ შეიძლება გაცემულ იქნას ყოველწუთს. ტუნისის აღმოსავლეთ სანაპიროს მრავალ პუნქტში შეტაკება მოხდა საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებსა და გერმანიის ჯარებს შორის.

## კასაბლანკაში ჩავიდნენ ახალი მაშველი ძალები

**ლონდონი,** 29 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ კასაბლანკაში ყოველდღე მიდიან ამერიკელთა თვითმფრინავების ახალი ესკადრილიები. 28 ნოემბერს კასაბლანკაში გადასხდნენ ჯარების ახალი კონტინგენტები. კვლავ მიაქვთ აგრეთვე დიდძალი სურსათი.

## ინგლისის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი,** 29 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს ცნობით, 28 ნოემბერს ღამით ბომბდამშენთა დიდი რაზმი თავს დაესხა ტურინს.

28 ნოემბერს დღისით და ღამით ინგლისის ავიაციამ დაბომბა რკინიგზის ლიანდაგები და საქონლის მატარებლები საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში.

## ინგლისის ავიაციის თავდასხმა ტურინზე

**ლონდონი,** 30 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 29 ნოემბერს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ახალი თავდასხმა მოახდინეს ტურინის ობიექტებზე.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 28 ნოემბერს ღამით ტურინზე თავდასხმის დროს ინგლისის ავიაციამ პირველად იხმარა 3,5-ზე მეტი ტონის ახალი ტიპის ბომბები. ტურინის ობიექტებზე ჩამოყრილი იყო აგრეთვე დიდძალი სხვა ფუგასური და 100.000-ზე მეტი ცეცხლგამჩენი ბომბი.

ტურინიდან ევაკუირებულია 300 ათასამდე კაცი, ესე იგი ქალაქის თითქმის ნახევარი მოსახლეობა.

## მოსახლეობა გარბის ჩრდილოეთ იტალიიდან

**ნიუ-იორკი,** 29 ნოემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" გადმოგვცემს, გენუის მიდამოებიდან სამხრეთისაკენ გაიქცა მთელი მოსახლეობის 75 პროცენტზე მეტი. გზები სავსეა ლტოლვილებით. მოსახლეობაში ინფლუენციის ეპიდემია მძვინვარებს. საავადმყოფოები გაჭედილია ავადმყოფებით. რკინიგზებისათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით მოძრავი შემადგენლობის მწვავე ნაკლებობაა.

**ნიუ-იორკი,** 29 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, იმასთან დაკავშირებით, რომ მრავალ იტალიელს, რომლებიც მასობრივი თავდასხმების გამო ევაკუაციისათვის ემზადებიან, თავიანთი ანაბრები გამოაქვთ, 24 ნოემბრიდან მილანში ბევრი ბანკი დაიხურა.

დაუდასტურებელი ცნობებით, გენუაში, ტურინში და აგრეთვე იტალიის მთელ რიგ სხვა ქალაქებში ბევრი ბანკი იხურება.

თვითონ იტალიაში საშინაო ბრუნვისათვის გამოშვებულია დიდძალი აბისინური ბანკნოტი. წინათ ეს ფული მხოლოდ იტალიის აფრიკის სამფლობელოებში გადიოდა.

## გერმანიის ულტიმატუმი შვეიცარიისადმი

**ნიუ-იორკი,** 29 ნოემბერი (საკდესი). პრესის ცნობით, ბერნის უცხოელთა წრეებში ამტკიცებენ, რომ გერმანიამ შვეიცარიას მოსთხოვა ნება დართოს ტრანზიტით გაატაროს გერმანიის ჯარები და სამხედრო მასალები შვეიცარიის რკინიგზებით.

გერმანიის გაზეთებმა ამ უკანასკნელ ხანს გააძლიერეს გალაშქრება შვეიცარიის წინააღმდეგ.

## ნაწილობრივი მობილიზაციის შესახებ ესპანეთში

**ნიუ-იორკი,** 29 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 1938, 1939 და 1940 წლების კლასების სამხედრო ვალდებულთა გაწვევა არმიაში, რაც ესპანეთში იყო გამოცხადებული, გაუქმებულია. გაწვეული იქნებიან მხოლოდ 1941 წლის კლასის პირები.

## ლექციები და მოხსენებები

**1 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე,** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორ ამხ. კანტერეს ლექცია რუსულ ენაზე. თემა: ს. მ. კიროვის ცხოვრება და მოღვაწეობა.

შესვლა თავისუფალია.

## თეატრებში

**სახოპერა** — 1 დეკემბერს — „ბოშათა ბარონი", 2 დეკემბერს — „აიდა". **რუსთაველის სახელობის** — 1 დეკემბერს — „ოლეკო დუნდიჩი", 2 დეკემბერს — „მოსკოვის ბჭესთან". **მარჯანიშვილის სახელობის**—1 დეკემბერს — „მეფე ერეკლე", 2 დეკემბერს—„პარტიზანები". **გრიბოედოვის სახელობის** — 1 და 2 დეკემბერს — „ფელდმარშალი კუტუზოვი". **სომხური თეატრი** — 1 დეკემბერს — „აღმოსავლეთის დანტისტი", 2 დეკემბერს — „გეორგ მარზპეტუნი". **ახუნდოვის სახელობის** — 1 დეკემბერს — „ფარჰად და შირინი", 2 დეკემბერს — „მაშდი იბად". **მუსიკალური კომედიის** — 1 დეკემბერს—„ცისფერი კლდეები", 2 დეკემბერს — „არშინ-მალ-ალან".

## პროპაგანდისტთა სემინარი

**1 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე,** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის (ოქტომბრის შემდგომი პერიოდი) შემსწავლელი პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე.

მეცადინეობაზე პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

## კინოებში

**რუსთაველის სახ.** — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან", **ოქტომბერი** — „მასკარადი", **დამკვრელი** — „გიორგი სააკაძე", **კომკავშირელი** — „მეზღვაურის ქალიშვილი", **სპარტაკი** — „კინოკონცერტი", **ლუქსემბურგის სახ.** — „მაშენკა", **26 კომ. სახ.** — „საბრძოლო კინოკრებული № 13", **კომინტერნი** — „კორზინკინას თავგადასავალი" და „საქართველოს XI-XII საუკუნეების ძეგლები", **მეცნიერება და ცოდნა** — „წითელი ეშმაკუნები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

**ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველომ**

გამოუშვა სააბონემენტო წიგნაკები 20 და 30 მგზავრობისათვის ტრამვაიში 3 მან. და 4 მან. 50 კაპ. ღირებულებისა თითოეული წიგნაკი და ტროლეიბუსებით მგზავრობისათვის 12 და 20 საუბნო მგზავრობისათვის—3 მან. და 5 მან. ღირებულებისა თითოეული წიგნაკი.

საბონემენტო წიგნაკები წარედგინება კონდუქტორს, რომელიც აბონემენტის ფურცლებს საბონემენტო წიგნაკებიდან შესცვლის სამგზავრო ბილეთებით.

საბონემენტო წიგნაკები იყიდება ყველა სალაროში და ყველა ტრამვაისა და ტროლეიბუსების კონდუქტორებთან.

304

**ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო  დ ა ზ ღ ვ ე ვ ა**

**თანახმად სსრკ სახკომსაბჭოს 1938 წ. 8 თებერვლის დადგენილებისა, სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ატარებენ ნებაყოფლობით დაზღვევას:**

ა) ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და მათ გამგებლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონებისას,

ბ) კოოპერატიულ, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონებისას.

ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებო, დააზღვიეთ თქვენი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ქონება!

**დაუზღვეველ ქონებაზე სახელმწიფო დაზღვევა არ არის პასუხისმგებელი**

**თავის დროზე შეიტანეთ დაზღვევის გადასახდელები**

ცნობებისათვის მიმართეთ სარაიონო-საქალაქო სახდაზღვევის ინსპექციებს.

310 **საქ. სსრ სახდაზღვევის სამმართველო**

თბილისის ელექტროტექნიკუმის კოლექტივი იუწყება ტექნიკუმის დირექტორის ალექსანდრე (შატუ) შარაშიძის მეუღლის

**თინა დიანოზის-ასულ გორდეზიანი-შარაშიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/XII, 6½ ს. სასამართლოს ქ. 43-ა. დაკრძალვა 2/XII, 5 ს.
562

ქალაქის მეორე საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების კოლექტივი იუწყება თანამშრომელ ექიმ მიხეილ პაჭკორიას დედის

**ელისაბედ ხავთასის-ასულ პაჭკორიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. სუფსაში, 3/XII, 5 ს.
1555

თბილისის ალმასკომის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თანამშრომლები იუწყებიან

**დიმიტრი ზაქარიას-ძე ბეჟანიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. გორში 3/XII.
1556

არტელ „გრეხილის" თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ ვახტანგ კეკელიძის მამის

**ვლადიმერ დანიელის-ძე კეკელიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1 და 2/XII, 6 ს. პლეხანოვის პროსპ. № 46. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე
1560

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ჰოსპიტლის აფთიაქის გამგის, ქიმიკოს ოლია კეკელიძის მამის

**ვლადიმერის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 3/XII, 4 ს. პლეხანოვის პრ. № 46.

საქართველოს შრომის რეზერვების მე-2 სახელოსნო სასწავლებლის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება თანამშრომლის იოსებ ჩახნაშვილის სიმამრის

**ესტატე (ტატო) დიმიტრის-ძე ლომიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა დაბა სურამში 4/XII, კომკავშირის ქ. № 24.
1559

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან სამმართველოს უფროსის ვალერიან ჩაჩუას მამის დისწულის

**ვილჰელმ სერაპიონის-ძე ჩხაიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/XII, სოფ. ოფეთში (სამტრედიის რაიონი).
1561

ცეკავშირის რესპუბლიკური ბაზების კოლექტივი იუწყება ვალერიან შარვაშიძის სიდედრის

**ეკა (ეკატერინე) რამიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/XII, სოფ. დიდვანში (ჩოხატაურის რაიონი).
1558

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11075